



სოფიო ლურსმანაშვილი

„უძრავი ქონების დაზღვევის პრობლემები საქართველოში და მისი
სრულყოფის გზები“,

წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი 0178, საქართველო
ივნისი 2019

საავტორო უფლება 2019 მაგისტრანტის სოფიო ლურსმანაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მაგისტრანტის სოფიო ლურსმანაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „უძრავი ქონების დაზღვევის პრობლემები საქართველოში და მისი სრულყოფის გზები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: ავთანდილ გაგნიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
2019 წელი

ავტორი: სოფიო ლურსმანაშვილი

დასახელება: „უძრავი ქონების დაზღვევის პრობლემები საქართველოში და მისი სრულყოფის გზები“,

ფაკულტეტი : ბიზნესისა და ინჟინერიის

ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პროცენტების ან ინსტიტუტების მიერ შემოქმედებული დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

სოფიო ლურსმანაშვილი

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომის „უძრავი ქონების დაზღვევა საქართველოში და მისი სრულყოფის გზები“ სტრუქტურა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: ნაშრომის შესავალში განსაზღვრულია საკვლევი თემის საგანი, აქტუალობა, კვლევის მიზანი, დასახულია ამოცანები, მიმართულებები.

ნაშრომის პირველ თემაში პროდუქტი-უძრავი ქონების დაზღვევა განხილულია მაქვს უძრავი ქონების დაზღვევის პირობები, ეკონომიკური არსი და შინაარსი, მისი ფორმირება, განვითარება და ორგანიზაციული ფორმები, ასევე სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციის არხები.

მეორე თემაში საქართველოს უძრავი ქონების დაზღვევის თანამედროვე მდგომარეობა განხილული და შეფასებულია მაქვს საქართველოს სადაზღვევო ბაზარი, სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა და მისი განვითარების პრობლემები საქართველოს ბიზნესში, შევაფასეთ სადაზღვევო საქმის პრობლემები, მოსახლეობის ცნობიერება, საკანონმდებლო ბაზა. სამაგისტრო ნაშრომის მესამე თავში შევისწავლე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობა და რეგულაციები.

კვლევის მიზანი იყო უძრავი ქონების დაზღვევის კულტურა და მოსახლეობის აზრის შესწავლა. განვითარების პერსპექტივები და მიმართულებები საქართველოს ბიზნესში.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება რეზიუმის, შესავლის, 4 ძირითადი თემისა და დასკვნისგან. თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია 83 - ე გვერდზე.

Real estate insurance problems in Georgia and the ways of perfection

Summary

The structure of the Master's thesis " Real estate insurance problems in Georgia and the ways of perfection" structure is as follows:

Introduction of the thesis is the subject of subject matter, actuality, research purpose, the tasks are set,directions.

In the first chapter of the thesis product-Real estate insurance have considered conditions of real estate insurance. the economic essence and content of the insurance, its formation, development and organizational forms, as well as the sale of insurance products.

In the second chapter moder condition of Georgian real estate insurance I reviewed and evaluated the Georgian insurance market, the structure of the insurance market and its development problems in the international business, evaluated the insurance case organization, problems, legislative basis, development prospects and directions in the georgian business.

In the third chapter of the Master's Study I studied State supervision of insurance and regulations.

The goal of the survey was populations culture ,their dependence on the introduction of compulsory real estate insurance.

Master's thesis consists of summary, introduction, by the 4 main topic and conclusions. Bibliographic list of used literature is accompanied by The work contains 83 pages on the computer.

ნაშრომის სტრუქტურა;

| | |
|---|----|
| • შესავალი ----- | 7 |
| • პროდუქტი-უძრავი ქონების დაზღვევა----- | 11 |
| • საქართველოში უძრავი ქონების დაზღვევის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა----- | 53 |
| • დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობა და რეგულაციები----- | 63 |
| • უცხოური ქვეყნის მაგალითები----- | 70 |
| • დასკვნები და წინადადებები----- | 76 |
| • ბიბლიოგრაფია----- | 83 |

შესავალი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარების სანყის ეტაპზე, მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმამ და შესაბამისად, სადაზღვეო სისტემის განვითარების აუცილებლობამ გამოიწვია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 2 მაისს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, რომელიც რიგი ცვლილებებითა და დამატებებით დღესაც მოქმედებს. კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 29 ივნისის ბრძანებულების თანახმად. სადაზღვეო საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირებისათვის შეიქმნა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც სანყის ეტაპზე წარმოადგენდა დამოუკიდებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას.

2001 წლის 20 ივნისის „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში გატარებული ცვლილებებისა და ამავე წლის 16 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური საქვეუწყებო დაწესებულებიდან გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. 2007 წლის 11 ივლისის „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში გატარებული ცვლილებების თანახმად სამსახურმა როგორც დამოუკიდებელმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, ამგვარი ფორმით შეწყვიტა ფუნქციონირება და მის სამართალმემკვიდრედ გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. [<http://insurance.gov.ge/About-Us.aspx>]

2009 წლის 24 სექტემბერს გატარდა ცვლილება-დამატებები „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში და სადაზღვევო სექტორზე საზედამხედველო ფუნქცია შეითავსა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ხოლო სამსახური გადაიქცა მის ერთ-ერთ სრუქტურულ ქვედანაყოფად (დეპარტამენტი) [<http://insurance.gov.ge/About-Us.aspx>]

2013 წლის 02 მაისს დამტკიცდა სამსახურის დებულება, რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურმა მთლიანად შეითავსა ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობები დაზღვევისა და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში. [<http://insurance.gov.ge/About-Us.aspx>]

ქონების დაზღვევა სადაზღვევო მომსახურების ძირითად ფორმად ითვლება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ვინაიდან ამ მომსახურების მომხმარებლებს წარმოადგენენ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოები, ფირმები, გაერთიანებები და სხვა ქონებრივი დაზღვევის დროს შეიძლება შედგეს ორი ხელშეკრულება - ძირითადი და დამატებითი. **ძირითადი**

ხელშეკრულების დაზღვევას ექვემდებარება ფირმის კუთვნილებაში არსებული მთელი ქონება (შენობები, ნაგებობანი, გადამცემი მოწყობილობანი, ძალოვანი, სამუშაო და სხვა მანქანები, სატრანსპორტო საშუალებები, დაუმთავრებელი ნარმოების და კაპიტალური მშენებლობის ობიექტები, ინვენტარი, მზაპროდუქცია, საქონელი, ნედლეული მასალები, და სხვა). დამატებითი ხელშეკრულებით შეიძლება დაეზღვიოს მთელი ქონება, რომელიც ფირმას მიღებული აქვს ქონებრივი დაქირავების ხელშეკრულებით ან ფირმის მიერ სვაორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან გადასამუშავებლად, სარემონტოდ, შესანახად და ა.შ. შეიძლება დაიდოს დამატებითი ხელშეკრულებები, აგრეთვე, ექსპერიმენტული და საცდელი სამუშაოების ჩატარების დროს, გამოფენებზე ექსპონატების გამოფენის პერიოდში და სხვა.

ძირითადი ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო გადასახდელის განაკვეთი სხვადასხვანაირია დარგისა დაპასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით და შეადგენს 0%-დან 4%-მდე. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ქონების სრული ღირებულების (საბალანსო) მიხედვით. მაგრამ თუ ფირმის მიერ ქონება მიღებულია სხვა მთლიანობისაგან შესანახად, გადასამუშავებლად და სხვა, მაშინ ხელშეკრულება ფორმდება ამ ქონების სრული ღირებულებით ცვეთის გამოკლებით.

თემის აქტუალობა: „უძრავი ქონების დაზღვევის პრობლემები და მისი სრულყოფის გზები“ საქართველოს სადაზღვევო ბაზრისთვის მეტად აქტუალური თემაა, რადგან ქვეყნის შიგნით სადაზღვევო ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზეა, შესაბამისად საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიების მენეჯმენტის გამოცდილება მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სადაზღვევო ბაზრისთვის. საქართველოს ბაზარზე არსებული სადაზღვევო კომპანიების გარკვეული ნაწილი საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიების

შვილობილია და არსებობს პირდაპირ კავშირში მათთან, რაც გვაახლოებს და გვიადვილებს მენეჯმენტის პრობლემების მოძიებასა და აღმოფხვრასთან. საქართველოს ეკონომიკურმა განვითარებამ აქტიურად წამოწია წინ სადაზღვევო სისტემის რეფორმა, რამაც ხელი შეუწყო სადაზღვევო კომპანიების აღმოცენებასა და სწრაფ განვითარებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები : კვლევის მიზანია საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და მისი სრულყოფის გზების როლი საქართველოში არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიების ფორმირებასა და მართვაში. პრობლემების შესწავლა, ანალიზი და კვლევის შედეგად წარმოჩენილ პრობლემათა გადაჭრის გზების ძიება. ამოცანად დასახულია, ეროვნულ სადაზღვევო ბიზნესში კერზოდ ქონების დაზღვევაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების და სადაზღვევო ბიზნესის სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა წარმოჩინება.

კვლევის ობიექტი. თემის აქტუალობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა საკვლევი საგანი, რომელმაც მოიცვა საქართველოს სადაზღვევო ბაზარი(უძრავი ქონების დაზღვევა), მისი განვითარების მიმართულებები, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, სადაზღვევო ბიზნესი თავისი შემადგენელი ელემენტებით, ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლები და სადაზღვევო ბიზნესის როლი სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სოციალურ პოლიტიკაში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნები, მოცემულია, პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატიული გზები და ხაზგასმულია ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის გამართულად მართვის აუცილებლობა, ზოგადად ფინანსური სისტემის უკეთ ფუნქციონირებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისას გამოვიყენე ისტორიული, ლოგიკური, რაოდენობრივი, შედარებითი და ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევის მეთოდები.

პროლექტი_უძრავი ქონების დაზღვევა

უძრავი ქონების დაზღვევა არის დაზღვევის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც აზღვევს თქვენს ბინას ან სახლს, მასთან არსებული დამხმარე ნაგებობებითა და ავეჯით ან საცხოვრებელი ფართით.

ქონების დაზღვევა ფარავს ხარჯებს ქონების დაზიანების წინასწარ განსაზღვრული სარისკო შემთხვევების დადგომის დროს – მაგ. როგორცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, მეხისდაცემა, გრიგალი, ვანდალიზმი, ძარცვადასხვ. თუმცა, ის, თუ ქონების რა ნაწილია დაზღვეული და რა რისკებს

ან აზღაურებს დაზღვევა, დამოკიდებულია დაზღვევის ინდივიდუალურ ხელშეკრულებაზე, ანუ სადაზღვევო პაკეტიდან სხვაგვარადაა ერთმანეთისგან – ზოგი მათგანი ან აზღაურებს უფრო მეტ შემთხვევას, ზოგი შედარებით ნაკლებს.

უძრავი ქონება ყველა ჩვენგანისთვის არის უმნიშვნელოვანესი ინვესტიცია, რისი დაცვა და შენარჩუნებაც ყოველთვის საჭიროა. არსებობს უამრავი ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება თქვენი უძრავი ქონება საფრთხის წინაშე დააყენოს. ქონების დაზღვევა არის ჭკვიანური, მოხერხებული გზა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ზედმეტი საფიქრალი, ფინანსური დანაკარგები და დაიცვათ თქვენი კუთვნილება გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი რისკებისაგან.

რა არის სახლის დაზღვევა?

სახლის, ბინის დაზღვევა ქონების დაზღვევის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. იგი უზრუნველყოფს ქონების ნებისმიერი მესაკუთრის (მოქალაქის, საწარმოს, სახელმწიფოს) ქონებრივი ინტერესების დაცვას მისი განადგურების, დაზიანების ან დაკარგვის რისკისაგან.

სახლის დაზღვევა სავალდებულოა ყველასთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც სახლს ყიდულობს იპოთეკური სესხის დახმარებით, თუმცა, მაშინაც კი, თუ არ სარგებლობთ იპოთეკური სესხით, ბინის – უძრავი ქონების დაზღვევა გონივრული გადანყვეტილებაა, ამ გზით იცავთ თქვენს მთელ ქონებას და მშვიდად ხართ მოულოდნელი შემთხვევების დროს, რადგან იცით, რომ დაზღვევა აანაზღაურებს ზარალს.

საოჯახო ქონება

სახლის ავეჯი არ არის მხოლოდ ავეჯი და ტექნიკა. თუ აირჩევთ ისეთ სადაზღვევო პაკეტს, რომელი ცითვალისწინებს სახლში არსებული საოჯახო ქონების დაზღვევასაც, ეს ნიშნავს, რომ უბედური შემთხვევის დადგომის დროს დაზღვევა აგინაზღაურებთ, მაგალითად, ხალიჩების, ფარდების, საბნების და მსგავსი საოჯახო ქონებისზარალს.

დარწმუნდით, რომ მთელი ქონება დაზღვეულია! ქონების დაზღვევა შესაძლებელია ორი სხვადასხვა მეთოდით: ჩამოთვალეთ ყველაქონება, რომელიც გსურთ რომ სადაზღვევომ დათალოს ან შეთანხმდეთ კონკრეტულ ჯამურ თანხაზე, რომლის ფარგლებშიც სადაზღვევო აანაზღაურებსზარალს – ამ უკანასკნელ მეთოდის არჩევის შემთხვევაში, თქვენ თავად აირჩევთ, სახლის რომელი ქონება აანაზღაუროს სადაზღვევომ.

[<https://financer.com/ge/dazgveva/saxlis-dazgveva/>]

დამხმარე ობიექტები

სადაზღვევო ხელშეკრულებაში, შესაძლოა, შევიდეს ისეთი ობიექტები, როგორც აასახლთ ან მიმდებარეთ თქვენს საკუთრებაში მყოფი სპორტული მოედანი, აუზი და სხვ. დამხმარე ნაგებობები – ასეთ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია აზღვევს ამ ობიექტებთან დაკავშირებულ რისკებს.

[<https://financer.com/ge/dazgveva/saxlis-dazgveva/>]

რა ტიპის ქონება შეიძლება დავაზღვიოთ?

უძრავი ქონების დაზღვევისას თქვენ აზღვევთ სახლს, აგარაკს, მათში განთავსებულ შიგთავსს (ავეჯი და ინვენტარი, საყოფაცხოვრებო, საინჟინრო მონაცობილობები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები).

ასევე შეგიძლიათ, რემონტის და მესამე პირის ქონების დაზღვევაც. – ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ თქვენი ოჯახის წევრი ან თქვენი შინაური ცხოველი ზიანს მიაყენებს სხვის ქონებას (მაგ. თქვენი ბინიდან მეზობლის ბინაში წყლის ჩასვლა), სადაზღვევოა თქვენს პასუხისმგებლობას აზღვევს და აანაზღაურებს ზიანს.

დროებითი საცხოვრებლის – ბინის ქირის ანაზღაურება

თუ უბედური შემთხვევის შედეგად, შეუძლებელია თქვენს ბინაში/სახლში ცხოვრება, სადაზღვევო კომპანია აგინაზღაურებთ გარკვეული პერიოდით ბინის ქირაობის ღირებულებას (დამოკიდებულია კონკრეტული სადაზღვევო კომპანიის პირობებზე – როგორც წესი, 3 თვიდან 1 წლამდე ვადით).[<https://financer.com/ge/dazgveva/saxlis-dazgveva/>]

თქვენი სურვილის მიხედვით დაზღვევა შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი კომბინაციებით:

- ბინა + შიგთავსი + რემონტი;
- ბინა + შიგთავსი;
- ბინა + რემონტი;
- მხოლოდ რემონტი, ან მხოლოდ ბინა.

რა რისკებისგან გვიცავს სახლის დაზღვევა?

რა თქმა უნდა დაზღვეული რისკები განისაზღვრება ინდივიდუალურად, სადაზღვეო პაკეტისა და კომპანიის მიერ, თუმცა არსებობს ის რისკები, რომლებსაც ძირითადად ყველა სადაზღვეო პაკეტში გვთავაზობენ.

სახლის დაზღვევა გვიცავს შემდეგი რისკებისგან:

- სტიქიური უბედურებები: წვიმა, წყალდიდობა, შტორმი, ქარიშხალი, სეტყვა, მენწყერი, მიწისძვრა, ზვავი, თოვლის სიმძიმე, ქვების ვარდნა;
- მეზობლის ბინიდან წყლის ჩამოსვლა;
- კანალიზაციის, წყალგაყვანილობის და ელექტროგაყვანილობის მწყობრიდან გამოსვლა, გაზის ან საშინაო მიზნებისათვის გამოყენებადი გამათბობლების აფეთქება, გათბობის სისტემების დაზიანება;
- ხანძარი, კვამლი, აფეთქება, მეხის დაცემა, საფრენი აპარატის ან მისგან გადმოვარდნილი საგნების დაცემა;
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
- მესამე პირის ბოროტგანზრახული ქმედება, ვანდალიზმი;
- რემონტის, ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაზღვევა სტიქიური უბედურებებისგან, ხანძრისგან და ქურდობისგან.

რისგან შეგიძლიათ დამატებით დავეზღვიოთ?

გარდა აღნიშნული დათარგმნისა, კლიენტის სურვილით, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვა სახის ხარჯებიც, კერძოდ: ზარალის ადგილის დასუფთავების ხარჯები; ქონების გადარჩენილი (დაუზიანებელი) ნაწილის გადატანისა და დაცვის ხარჯები.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა რისკისაგან დაზღვევით კლიენტის მატერიალური ინტერესები სრულად იქნება დაცული, რაც გულისხმობს ამ რისკების დადგომისას დაზღვეულის ქონებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას სადაზღვევო კომპანიის მიერ, რაც შესაბამისად

უზრუნველყოფს ქონების აღდგენას (შექმნა, შეკეთება) პირვანდელ მდგომარეობაში.

რას გულისხმობს მესამე პირის ქონების დაზღვევა?

როდესაც სახლის დაზღვევას გადანყვეტო, არსებულ პაკეტთან ერთად თქვენ დამატებით შეგიძლიათ შეიძინოთ მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა. რაც გულისხმობს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მიადგა მესამე პირის ქონებას თქვენს სახლში გაჩენილი ხანძრის, აფეთქების ან წყლის მიღების მწყობრიდან გამოსვლის გამო (მაგ: თქვენი სახლიდან მეზობლის ბინაში ჩავიდა წყალი და სხვ.)

როდესაც ვამბობთ “ყველა რისკის დაზღვევა”, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ შესაძლოა სხვადასხვა კომპანია განსხვავებულ პაკეტს გვთავაზობდეს “ყველა რისკის დაზღვევის” შემოთავაზების დროს და არ მოიცავდეს ყველა რისკის დაზღვევას, მართლაც, ზოგი კომპანია გვთავაზობს უფრო ფართო პირობებს, ზოგიერთი კი აზღვევს უფრო ნაკლებ რისკს.[\[https://financer.com/ge/dazgveva/saxlis-dazgveva/\]](https://financer.com/ge/dazgveva/saxlis-dazgveva/)

რა უნდა გავითვალისწინოთ უძრავი ქონების დაზღვევის არჩევისას?

უძრავი ქონების დაზღვევის ხელშეკრულების არჩევისას, ყურადღება მიაქციეთ რა არის დაზღვეული კონკრეტული სადაზღვეო პაკეტით – მხოლოდ საცხოვრებელი ბინის ფართი, მასში არსებული ავეჯი თუ კონკრეტულად რომელი აქტივები?

თუ კონტრაქტის გაფორმებისას ამ საკითხს არ მიაქცევთ ყურადღებას, მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენი სადაზღვეო პაკეტი მოიცავს მხოლოდ საცხოვრებელი ბინის ფართის დაზღვევას და არ ითვალისწინებს მასში არსებულ სხვა ქონებას, მაგალითად, ავეჯს, და ხანძრის დროს, სადაზღვეო

არ ანაზღაურებს ამ დანაკარგს.<https://financer.com/ge/dazgveva/saxlis-dazgveva/>]

მოულოდნელი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად უნდა დაფიქრდეთ შემდეგზე:

როდიდან შეგვიძლია დაზღვევით სარგებლობა?

სადაზღვევო პოლისი-ხელშეკრულების ვადა, მითითებულია პოლისში. როგორც წესი დაზღვევის პერიოდი განისაზღვრება არანაკლებ 12 თვის ვადით.

რაც შეეხება სადაზღვევო ხელშეკრულების ძალაში შესვლას, ის ძალაში შედი გრაფიკით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის პირველი შენატანის გადახდისას, მაგრამ არა პოლისში მითითებული დაზღვევის პერიოდის დაწყების თარიღის 24:00 საათზე ადრე.

როგორ განისაზღვრება სადაზღვევო თანხა და პრემია?

სადაზღვევო კომპანიები დიფერენციაციაციას ახდენენ და თავად ადგენენ დაზღვევის ტარიფებს სადაზღვევო რისკის მოცულობის მიხედვით.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს და დარწმუნდეთ, რომ თქვენი უძრავი ქონება დაცულია ყველა უბედური თუ რისკისშემცველი შემთხვევისგან!<https://financer.com/ge/dazgveva/saxlis-dazgveva/>]

სადაზღვევო თანხა განისაზღვრება კლიენტსა და სადაზღვევო კომპანიას შორის ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულების დადების მომენტში ქონების საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე.

შენობა–ნაგებობების შემთხვევაში, ის განისაზღვრება ქონების აღდგენითი ან საბაზრო ღირებულებით; შიგთავსის შემთხვევაში: ქონების შენაცვლებითი (საბაზრო) ღირებულებით.

რაც შეეხება სადაზღვეო პრემიას, ის განისაზღვრება კლიენტის მიერ სადაზღვეო პაკეტის (კონკრეტული სადაზღვეო რისკების) შერჩევის მიხედვით. სტანდარტულ შემთხვევებში, ქონების დაზღვევის წლიური ტარიფი განისაზღვრება 0,32%. სადაზღვეო პრემია გამოითვლება, სადაზღვეო თანხის გამრავლებით შესაბამის ტარიფზე. სადაზღვეო პრემიის გადახდის გრაფიკი განისაზღვრება ინდივიდუალურად.

რა არის ფრანშიზა და როგორ განისაზღვრება ის?

ფრანშიზა, ანუ აუნაზღაურებელი მინიმუმი არის თანხა, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვეო კომპანიის მიერ. როგორც წესი ფრანშიზის ოდენობა დამოკიდებულია დასაზღვევი ობიექტის ტიპზე, მდგომარეობაზე, სხვადასხვა რისკ ფაქტორებზე და მისი სიდიდე განისაზღვრება კლიენტსა და სადაზღვეო კომპანიას შორის ურთიერთშეთანხმებით, ინდივიდუალურად.

როგორ მოვიქცეთ სადაზღვეო შემთხვევის დროს?

როდესაც თქვენი ქონებაზე იმოქმედებს ზემოთ ჩამოთვლილის რისკ ფაქტორები, რომლისგანაც აზღვევთ მას, აუცილებელია სწორი რეაგირება, რადგან შემდგომ არ გართულდეს თქვენსა და სადაზღვეო კომპანიას შორის ურთიერთობა და ზარალის ანაზღაურების პროცესები.

სადაზღვეო შემთხვევის დადგომის დროს, აუცილებელია მიმართოთ კომპეტენტურ ორგანოებს. მაგალითად: მესამე პირთა ვანდალური, ქურდობის, ძარცვის, გატაცების და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების

შემთხვევაში აუცილებლად გამოიძახეთ საპატრულო პოლიცია. ხანძრის, ან სტიქიური უბედურების დროს შესაბამისი დამხმარე ორგანოები და ა.შ.

გახსოვდეთ, რომ სადაზღვეო კომპანია მოითხოვს ამ ორგანიზაციების მიერ გაცემულ დოკუმენტებს. აღნიშნული დოკუმენტების არ წარმოდგენის შემთხვევაში კი, მათ შეუძლიათ არ აანაზღაურონ ზარალი.

სადაზღვეო შემთხვევის დადგომის დროს, ასევე აუცილებლად აცნობეთ სადაზღვეო კომპანიასაც, რათა მათაც მოახდინონ დროული რეაგირება.

შეინარჩუნეთ დაზიანებული ქონება იმ სახით, როგორც ის აღმოაჩინეთ სადაზღვეო შემთხვევის დროს, სანამ არ მოვა სადაზღვეო წარმომადგენელი.

სადაზღვეო წარმომადგენლის მოსვლამდე, არ გასწიოთ შემთხვევასთან დაკავშირებული რაიმე ხარჯები.

აქვს თუ არა ზარალის ანაზღაურებას რაიმე ლიმიტი?

ზარალის სიდიდე განისაზღვრება სადაზღვეო კომპანიისა და დაზღვევის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

გათვალისწინეთ, რომ ზარალის ანაზღაურებას გააჩნია თავისი ლიმიტი, რომლის შესახებ თქვენს სადაზღვეო პოლისში იქნება მითითებული. თუ სადაზღვეო პერიოდის განმავლობაში, კომპანია მოახდენს ზარალის ანაზღაურებას, მაშინ ანაზღაურების ჯამური ლიმიტი შემცირდება გადახდილი ანაზღაურების ოდენობით.

რა შემთხვევაში არ ანაზღაურდება ზარალი?

სანამ საკუთარ სახლს დააზღვევდეთ გახსოვდეთ, რომ ყველა სადაზღვეო პოლისში მითითებულია ის საერთო გამონაკლისები, რომლის შემთხვევაში თქვენს ქონებაზე მიყენებული ზიანის შემთხვევაში დაზღვევა არ მოახდენს ზარალის ანაზღაურებას. რა თქმა უნდა, თითოეული პოლისი ინდივიდუალურია და შესაბამისად, ზემოთ ხსენებული გამონაკლისებიც. თუმცა არსებობს ის ძირითადი გამონაკლისი შემთხვევები, რომელსაც ყველა სადაზღვეო პოლისი მოიცავს.

არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც უკავშირდება შემდეგ მოვლენებს:

- ომი, საომარი მოქმედება, რევოლუცია, აჯანყება, ტერორისტული აქტი, გაფიცვა და სხვ.
- სახელმწიფო ორგანოების ბრძანებით ქონების განადგურება, კონფისკაცია და სხვ.
- ბუნებრივი პროცესების (ამორტიზაცია, ცვეთა, კოროზია ეროზია, დანესტიანება) შედეგად გამოწვეული დაზიანებები;
- ზარალი ან დაზიანება გამოწვეული: ნარკოტიკული /ფსიქოტროპული /ალკოჰოლური ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დამზღვევის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის, ან მასთან ერთად მცხოვრები პირის ქმედებით;
- ზარალი ან დაზიანება, გამოწვეული თქვენი (მოსარგებლის), თქვენი ოჯახის წევრების, ასევე პირების, რომლებიც ცხოვრობენ დაზღვეულ ნაგებობაში განზრახ, ან უხეში გაუფრთხილებლობით დაზღვეული ქონების მიმართ და სხვ.

რომელი სადაზღვეო კომპანიები ახორციელებენ უძრავი ქონების დაზღვევას?

უძრავი ქონების დაზღვევას ახდენენ საქართველოში მოღვაწე შემდეგი სადაზღვეო კომპანიები: ჯი-პი-აი ჰოლდინგი, ირაო, ალფა, ალდაგი, არდი, ტაო, IC Group-ი და თიბისი დაზღვევა.

რა არის საჭირო სახლის დაზღვევის გასაფორმებლად?

- თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სადაზღვეო აგენტის მიერ თქვენი დასაზღვევი ქონების დათვალიერება.

[<http://dazghveva.ge/konebis-dazghveva/>]

მაგალითისთვის წარმოგიდგინოთ თიბისი დაზღვევის სახელშეკრულებო პირობებს:

სექცია I: მატერიალური ზიანი

განმარტებები

მზღვეველი

სს “ თიბისი დაზღვევა”

დამზღვევი

იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც წინამდებარე პირობების საფუძველზე აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და პასუხისმგებელია სადაზღვეო პრემიის გადახდაზე.

მოსარგებლე

დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისში დასახელებული ერთი ან რამდენიმე პირი, რომელიც უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. თუ სადაზღვევო პოლისში მოსარგებლე მითითებული არ არის, მაშინ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება აქვს დამზღვევს. თუ სადაზღვევო პოლისში მოსარგებლედ რამდენიმე პირია მითითებული, დამზღვევმა უნდა მიუთითოს თითოეულის მიერ მისაღები სადაზღვევო ანაზღაურების წილი გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებაში.

სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი

სადაზღვევო პოლისში მითითებული თანხის მაქსიმალური ოდენობა რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლებზე. შესაძლოა პოლისში დამატებით განისაზღვროს კონკრეტული ლიმიტი სხვადასხვა ტიპის ქონებისათვის ქველიმიტის სახით.

დაზღვეული რისკი

მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ან შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.

სადაზღვევო პრემია

დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

სადაზღვევო ტარიფი

სადაზღვევო პრემიის განაკვეთი სადაზღვევო თანხასთან მიმართებით.

სადაზღვევო შემთხვევა

დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკის შედეგად დამდგარი მოვლენა, რომლის შედეგად მზღვეველს წარმოემყვება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება.

დაზღვევის პერიოდი

სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული დაზღვევის მოქმედების ვადა.

ფრანშიზა

დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელ თანხას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

ნარჩენი ღირებულება

სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დარჩენილი ქონების ღირებულება;

დაზღვევის ტერიტორია

სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფარვა.

სადაზღვევო პოლისი

მზღვეველის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის არსებობას და ასახავს დაზღვევის ხელშეკრულების ძირითად პირობებს. პოლისში დაფიქსირებულ მონაცემებსა და წინამდებარე პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პოლისს.

დაზღვევის ხელშეკრულება

ხელშეკრულება მზღვეველსა და დამზღვევს შორის, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების, შესაბამისი განაცხადის, მის საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ისა და მათი დანართებისგან.

რემონტი (მოპირკეთება)

კედლების შპალიერი და/ან სხვა ტიპის საფარი, იატაკი, ფანჯრები, კარები, მინები მათი საკეტები, ელექტრო და/ან წყალგაყვანილობა (მათ შორის საკანალიზაციო);

1. პრემიულა

1.1. წინამდებარე პირობები წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების ნაწილს, რომლის საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევის კანონიერ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების დაზღვევა. მზღვეველი სადაზღვევო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული წინამდებარე პირობების შესაბამისად;

1.2. მზღვეველი წინამდებარე პირობების საფუძველზე გასცემს კონკრეტულ დაზღვევის პოლისს.

1.3. მოცემული პირობების საფუძველზე გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, მზღვეველი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკების შედეგად სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს დამზღვევეს, ან მის მიერ დასახელებულ მოსარგებლეს, ზარალი, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას (გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება), დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

1.4. დაზღვევის ხელშეკრულების გასაფორმებლად დამზღვევეი წარუდგენს მზღვეველს ხელმოწერილ განაცხადს მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით მიხედვით. განაცხადში დამზღვევეი ვალდებულია მიუთითოს ზუსტი და სრული მონაცემები დაზღვევის ობიექტის შესახებ.

1.5. განაცხადში გათვალისწინებული მონაცემების გარდა, დამზღვევეი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს ნებისმიერი სხვა, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რისკის ხარისხის შეფასებისა და შესაძლო ზარალის მოცულობის განსაზღვრისთვის.

1.6. წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ იმ ტერიტორიულ ფარგლებში, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში (დაზღვევის ტერიტორია). დაზღვეული ქონების სხვა ტერიტორიაზე გადაადგილების დროს დაზღვევის ხელშეკრულება მოცემულ ქონებასთან მიმართებაში წყდება, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.7. დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი თარიღის (დღის) 24 საათზე და მოქმედებს მასში მითითებული ვადის ბოლო თარიღის (დღის) 24 საათამდე.

1.8. ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ფორმდება დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. დაზღვევის ობიექტი

2.1. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის (მოსარგებლის) ქონებრივი ინტერესები, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის საგნის (ქონების) დაკარგვის, განადგურების ან დაზიანების რისკთან;

2.2. წინამდებარე პირობების საფუძველზე გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, დაზღვევას ექვემდებარება შემდეგი სახის ქონება:

2.2.1. უძრავი ქონება: შენობა ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტები და/ან შიდა მოპირკეთება (რემონტი);

2.2.2. მოძრავი ქონება: მანქანა-დანადგარები, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული მოწყობილობები, სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ავეჯი;

2.3. თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დაზღვევა არ ვრცელდება შემდეგი სახის ქონებაზე:

2.3.1. ნაღდი ფული ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში;

2.3.2. აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

2.3.3. ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, გეგმები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, საბუღალტრო და საქმიანი წიგნები და იქ განთავსებული ინფორმაცია;

2.3.4. მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და ა.შ.;

2.3.5. ძვირფასი და იშვიათი ლითონები, მავთულების, ზოდების, ქვიშის, თვითნაბადი ფორმით, ასევე ძვირფასი თვლები, საიუველირო ნაკეთობები, ბენჯეული;

2.3.6. ქონება გამოფენაზე ექსპონირების დროს;

2.3.7. ინფორმაციის ტექნიკური მატარებლები, კერძოდ მაგნიტური ფირები და კასეტები, მაგნიტური დისკები და მესხიერების ბლოკები და ა.შ., და მათზე განთავსებული ინფორმაცია;

2.3.8. მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების, ბონების და სხვა მსგავსი ტიპის საკოლექციო ერთეულები, ასევე ნახატები, სურათები, ქანდაკებები და ხელოვნების სხვა ნიმუშები;

2.3.9. მომწავლავი, კაუსტიკური და ასაფეთქებელი ნივთიერებები;

2.3.10. იარაღი, საბრძოლო მასალა;

2.3.11. დაუსრულებელი მშენებლობის ობიექტები;

2.3.12. ცხოველები, მცენარეები, მარცვლელი კულტურა;

2.3.13. შენობებისა და ნაგებობების გარე კედლებზე დამაგრებული ობიექტები: ანძები, ანტენები, ღია ელექტროსადენები, სარეკლამო დანადგარები, ბილბორდები, ვიტრინების ფარდულები და ა.შ.; 2.3.14. სწრაფი გადახდის

აპარატები (ავტომატები), რომლებიც იღებენ გადახდას მონეტების ან უეტონების სახით, ბანკომატები;

2.3.15.შესანახად გადაცემული ან შემონმების პროცესში მყოფი საქონელი;

2.3.16.მინისქვეშა კომუნიკაციები;

2.3.17.კავშირგაბმულობისა და ელექტროგადაცემის ხაზები; 2.3.18.რემონტის, ან მშენებლობის პროცესში მყოფი ან 30 დღეზე მეტი ვადით მიტოვებული ქონება;

2.3.19.ქონება ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისას;

2.3.20.პროფესიული საინჟინერო სატრანსპორტო საშუალებები და შესაბამისი აღჭურვილობა;

2.3.21.ქონება, რომელიც იმყოფება დაზღვევის ტერიტორიაზე, მაგრამ არ წარმოადგენს დამზღვევის საკუთრებას;

2.3.22.ქონება, რომელიც ინახება ღია ცის ქვეშ;

2.3.23.მინის ნაკვეთები, ხიდები, გადასასვლელები, გზები, ასფალტირებული მონაკვეთები.

2.3.24.ყველა სახის ენერგო და ნავთობქიმიური რისკის მატარებელი ნაგებობა და დანადგარი, მათ შორის ნავთობის/საწვავის საბურღი დანადგარები, მილსადენები, ენერგოგადამამუშავებელი და გამწმენდი ქარხანები, ჭაბურღილები;

2.3.25.ამორტიზებული, ავარიული შენობა ნაგებობები და მათში განთავსებული ქონება

2.3.26.საქონელი რომელსაც გასული აქვს ვარგისიანობის ან/და რეალიზაციის ვადა

2.3.27. ტექნიკა, რომელიც არ ყოფილა გატესტილი/გამოცდილი მწარმოებლის მიერ და არ არის სანქცირებული ექსპლუატაციაში ჩასაშვებად.

2.3.28.ფეთქებადსაშიში ნივთიერებები, პიროტექნიკა (სასაქონლე მარაგების სახით);

2.3.29.ნავთობ ტერმინალები, ა.გ.ს.ები;

2.3.30.შენობები აშენებული 1950 წლამდე;

2.3.31.ნახევარ სარდაფი და სარდაფები, მიწის დონის ქვემოთ განთავსებული ობიექტები;

2.3.32.ბაზრობაზე და/ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ქონებები, მათ შორის სავაჭრო ცენტრების ტერიტორიაზე; 2.3.33.ბუნგალოები, ხის ნაგებობები;

3. სადაზღვევო რისკები

3.1 პოლისში მითითებული ქონება დაზღვეულია ქვემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ იმ რისკების ჯგუფ(ებ)ისაგან, რომლებიც მითითებულია კონკრეტულ დაზღვევის პოლისში, როგორც დაზღვეული ჯგუფი:

ჯგუფი A

3.1.1. ხანძარი - წინამდებარე პირობების მიზნებისთვის, ნიშნავს ცეცხლის წარმოქმნას, რომელიც ვრცელდება დამოუკიდებლად, იმ ადგილების

გარეთ, რომლებიც განკუთვნილია ამ ცეცხლის გასაჩაღებლად და შესანარჩუნებლად. ცეცხლით დაზიანება/აფეთქება, რომელიც არ არის გამოწვეული ხანძრის შედეგად, არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

ანაზღაურებას ექვემდებარება ზარალი, რომელიც წარმოიქმნება დაზღვეული ქონების გადასარჩენად, ხანძრის ჩასაქრობად ან მისი გავრცელების თავიდან ასაცილებლად მიღებული გონივრული ზომების შედეგად.

3.1.2. მცხის დაცემა - წინამდებარე პირობების მიზნებისთვის, მცხის დაცემა ნიშნავს ელექტრულ ნაპერწკლოვან განმუხტვას, რა დროსაც დენი გადის დაზღვეულ ქონებაში და იწვევს მის დაზიანებას ან ხანძარს.

მცხის დაცემის შედეგად ელექტრონული მოწყობილობის ან დანადგარების დაზიანება ხანძრის წარმოქმნის გარეშე ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

3.1.3 აფეთქება

3.1.4 საფრენი აპარატების ან მათი ნაწილების დაცემა დაზღვეულ ქონებაზე

ჯგუფი B

3.1.3. სტიქიური მოვლენები, კერძოდ: მიწისძვრა, ქარიშხალი, სეტყვა, მეწყერი, ზვავი, ნიადაგის აწევა ან დანევა (მაგრამ არა ხელოვნურად გამოწვეული), უხვთოვლიანობა და თოვლის სიმძიმით გამოწვეული ზიანი; წყალდიდობა - დაზღვეულ შენობაში წყლის გარედან შეღწევა იმ მიწის ზედაპირის დატბორვის შედეგად, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეული ქონებისთვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია სადრენაუო სისტემების არასწორი მართვით, საზოგადოების წყლის მილების გასკდომით, ან შენობის

საძირკველში არსებული სადრენაჟო და საკანალიზაციო მიწების მწყობრიდან გამოსვლით.

ჯგუფი C

3.1.5 ქურდობა შეღწევით - დაზღვეულ ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო შეღწევით დაზღვეული ქონების ფარული დაუფლება ან მისი მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

3.1.6 ძარცვა; ყაჩაღობა; ვანდალიზმი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ასეთად გათვალისწინებული ქმედებები.

3.1.8 სატრანსპორტო საშუალებების შეჭახება, როდესაც სატრანსპორტო საშუალება არ წარმოადგენს თავად დამზღვევის ან მოსარგებლის საკუთრებას.

ჯგუფი D

3.1.9 წყალგაყვანილობის, გათბობის, საკანალიზაციო ან ავტომატური ხანძარსაქრობი მილსადენების მწყობრიდან გამოსვლა, დაზღვევა ასევე ფარავს წინამდებარე რისკისგან გამონვეულ დაზღვეული ქონების დატბორვას, მაგრამ არა ისეთ ზიანს, რომელიც დადგა ზემოხსენებული მილსადენების შეკეთების, გაუქმების ან ჩანაცვლების სამუშაოების ჩატარების დროს;

3.1.10 მინების, ვიტრაჟების მსხვრევა , რომლებიც გამონვეული დაზღვეული რისკებით.

4. საერთო გამონაკლისები

4.1. წინამდებარე დაზღვევით არ იფარება ქონების დანაკარგი, განადგურება ან დაზიანება, რომელიც გამომდინარეობს, დაკავშირებულია, ან გამომწვეულია ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისგან:

4.1.1. ბირთვული ენერჯის გამოყენება ნებისმიერი ფორმით და ამ გამოყენების შედეგები, რადიაციის, რადიოაქტიური დაბინძურების, მაიონიზებული გამოსხივების, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადსაშიში ან სხვა მავნე ნივთიერებების, ასევე ისეთი ნივთიერებების ზემოქმედება, რომელიც შეიცავს რომელიმე ფეთქებად ბირთვულ ნაწილაკებს.

4.1.2. ქიმიური, ბიოლოგიური ან ელექტრომაგნიტური იარაღის გამოყენება;

4.1.3. ომი (გამოცხადებული და გამოუცხადებელი), შემოჭრა, ნებისმიერი სახის საომარი ქმედებები და მათი შედეგები, სამოქალაქო ომი, ამბოხება, სამოქალაქო მღელვარება, შეიარაღებული აჯანყება, რევოლუცია, ამბოხი, ნებისმიერი აღიარებული ან არაღიარებული ხელისუფლების შეიარაღებული ძალების თავდასხმა; სამხედრო ღონისძიებები; რევოლუცია, ამბოხი, ტერორისტების (მათთან დაკავშირებული პირების) ქმედებებით; ასევე მათ ჩახშობაზე მიმართული ხელისუფლების ქმედებები, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობა, გაფიცვები და ლოკაუტი;

4.1.4. ქონების კონფისკაცია, რეკვიზიცია, ექსპოპრიაცია, ნაციონალიზაცია, დაყადაღება, სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებით/ბრძანებით დაზღვეული ქონების განადგურება, ჩამორთმევა ან დაზიანება;

4.1.5. სახელმწიფო ორგანოების ისეთი ბრძანებები რომლებმაც გამოიწვიეს დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება;

4.1.6. დამზღვევის (მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელის მიერ ჩადენილი განზრახი ქმედება, ან უხეში გაუფრთხილებლობა, მათ შორის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი სახანძრო ან სხვა ტიპის უსაფრთხოების ზომების დარღვევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაბამისი ნორმებიდან გადახრა შეთანხმებულია სპეციალურ სახელმწიფო სტრუქტურებთან;

4.1.7. დაზღვეული ქონების ბუნებრივი ცვეთა, ან მისი თვისებების თანდათანობითი დაკარგვა; ქონების ფერის, სუნის, სტრუქტურის ან ფორმის ცვლილება მისი ბუნებრივი თვისებების შედეგად;

4.1.8. კოროზია, უანგვა, დუღილი, ბაქტერიები ან სოკოთ, ლპობა, ცვეთა, ეროზია, მაღალი და ცვალებადი ტემპერატურა, ფერმენტაცია ან სხვა ბუნებრივი პროცესები (თვისებები);

4.1.9. ჩრჩილი, მწერები, მღრღნელები და სხვა მავნებლების მიერ მიყენებული დაზიანებები.

4.1.10. წყალმომარაგების, გათბობის და სხვა მსგავსი სისტემების გადახურება და გადატვირთვა;

4.1.11. დაზღვეული შენობა-ნაგებობების დეფექტები და ნაკლოვანებები, რომლებიც არსებობდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის და რომელიც ცნობილი უნდა ყოფილიყო დაზღვევისთვის ან მისი უფლებამოსილი პირებისთვის; წარმოების დეფექტები, უხარისხო მასალები, პროექტირების, დაგეგმარების და დიზაინის შეცდომები;

4.1.12. დაზღვეულ ობიექტში ან ნაგებობაში თოვლის, სეტყვის ან წყლის შეღწევა ღია ფანჯრებიდან ან კარებიდან, ასევე სხვა ნაპრალებიდან, რომელიც გაკეთებულია მიზანმიმართულად, ან წარმოქმნილია დაზღვეული

ობიექტის სიძველით ან სამშენებლო დეფექტით; 4.1.13. შესაბამის სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა სხვა რისკები.

4.2 წინამდებარე პირობებით ანაზრაურებას არ ექვემდებარება ასევე:

4.2.1 ჯარიმები, საურავები და სხვა ფულადი ფორმის სანქციები;

4.2.2. გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები;

4.2.3. გზის საფარების ან ტროტუარების, ასევე ფუნდამენტების, კედლების, მზიდი კონსტრუქციების ან გადახურვების, საინჟინრო ნაგებობების დაწევა, დასკდომა, შეკუმშვა, გაფართოება ან ამობურცვა;

4.2.4. დაზღვეული ქონების დაზიანება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების მსვლელობისას, ასევე დაზღვეული შენობების რეკონსტრუქციის ან გადაიარაღების დროს;

4.2.5. ნებისმიერი სახის მონყობილობის ან დანადგარის ელექტროობის დაზიანება, თუ ეს უშუალოდ ან არაპირდაპირ გამონვეულია მოკლე ჩართვით, თუმცა დაფარვას ექვემდებარება ასეთი მოკლე ჩართვის შედეგად გამონვეული ხანძრის მიერ დაზღვეული მიყენებული ზიანი.

4.2.6. დაზღვეული ქონების აუხსნელი გაუჩინარება, მისი დანაკლისი, რომელიც გამოვლინდება ინვენტარიზაციის დროს, დაზღვეული ქონების დაკარგვა, ქურდობა შეღწევის გარეშე, გატაცება ან დამალვა;

4.2.7. მანქანა-დანადგარებისა და ელექტრონული მონყობილობის მწყობრიდან გამოსვლა, მათ შორის ელექტროენერჯის ცვალებადობის, ელექტრომაგნიტური იმპულსის შედეგად;

5. სადაზღვევო თანხა

5.1. დაზღვევის პოლისში მითითებული კონკრეტული ქონებისთვის განსაზღვრული სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს მის რეალურ ღირებულებას დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტისთვის;

5.2. ქონების რეალური ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის განისაზღვრება შემდეგნაირად:

5.2.1. შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტები და რემონტი (მოპირკეთებისთვის) - განადგურებული ობიექტის საპროექტო მახასიათებლებისა და სამშენებლო მასალების ხარისხის თვალსაზრისით ანალოგიური ობიექტის მოცემულ ადგილზე მშენებლობის/რემონტის ღირებულება, ცვეთისა და ექსპლუატაციურტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

5.2.2. მანქანა-დანადგარების, ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკისა და ელექტრონული მოწყობილობებისთვის ; - თანხა, რომელიც საჭიროა განადგურებულის ანალოგიური ობიექტის შესაძენად, ცვეთის გამოკლებით, ტრანსპორტირების, მონტაჟის, საბაჟო გადასახადისა და სხვა მოსაკრებლების ჩათვლით;

5.2.3. დამზღვევის სასაქონლო-მატერიალური მარაგებისთვის (როგორც მზა, ასევე დაუსრულებელისთვის) - თანხა, რაც აუცილებელია მათი ხელმეორედ წარმოებისთვის/შესაძენად, ტრანსპორტირების, საბაჟო გადასახადისა და სხვა მოსაკრებლების ჩათვლით;

5.3. თუ სადაზღვევო თანხის გაზრდა დაზღვევის ხელშეკრულებაში წარმოადგენს დამზღვევის მხრიდან განზრახ არასწორი ინფორმაციის მონოდების შედეგს, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა და მზღვეველისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

5.4. მზღვეველის მიერ ყოველი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ სადაზღვევო თანხა შემცირდება გაცემული ანაზღაურების ოდენობით, თუ ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის დადგენილი. მზღვეველის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ დამზღვევს უფლება აქვს მზღვეველთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულებით თავდაპირველად განსაზღვრული სადაზღვევო თანხის აღდგენა. დეკონირებულია ნოტარიუსთან.

5.5. თუ დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი სადაზღვევო თანხა აღმოჩნდება დაზღვეული საგნის რეალურ ღირებულებაზე ნაკლები, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის, ზარალი ანაზღაურდება იმ პროპორციით, რა პროპორციასაც შეადგენს სადაზღვევო თანხა დაზღვევის საგნის რეალურ ღირებულებასთან. ეს პროპორცია დგინდება დაზღვევის ხელშეკრულებაში (პოლისში) მითითებული თითოეული საგნისთვის ცალ-ცალკე ან მათი ერთობლიობისთვის.

6. სადაზღვევო პრემია

6.1. სადაზღვევო პრემიის ოდენობა გამოითვლება სადაზღვევო თანხების, სატარიფო განაკვეთის, დაზღვევის პერიოდის, ფრანშიზის და დაზღვეული ქონების სპეციფიკიდან გამომდინარე.

6.2. სადაზღვევო პრემიის ჯამური ოდენობა მიეთითება სადაზღვევო პოლისში.

6.3. სადაზღვევო პრემია დამზღვევმა უნდა გადაიხადოს დაზღვევის პოლისში მითითებული წესებისა და ვადების დაცვით.

6.4. შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე, მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან. საზღვევო პრემიის პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველს შეუძლია დამზღვევს განუსაზღვროს დამატებითი ორკვირიანი ვადა გადახდის შესასრულებლად და ამასთან მიუთითოს იმ შედეგებზე, რომელიც მოყვება ვადის გასვლას. ხოლო ვადის გადაცილებიდან 30 დღის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება.

6.5. თუ დაზღვევა შეწყდება სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამზღვევისგან პრემიის გადახდა დაზღვევის ძალაში ყოფნის პერიოდის პროპორციულად.

7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

7.1 დამზღვევი ვალდებულია:

7.1.1 უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადავად აუცილებელი სრული და ზუსტი ინფორმაციით;

7.1.2 დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით;

7.1.3. გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოთ ის შენობა, რომელშიც განლაგებულია დაზღვეული ქონება, დაიცვას უსაფრთხოების აუცილებელი ზომები, მათ შორის გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;

7.1.4 მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვეული ქონების გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად; მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან, თუ დამზღვევი განზრახ არ მიიღებს შესაძლო გონივრულ ზომებს ზარალის შესამცირებლად.

7.1.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ, შეატყობინოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებსა და მზღვეველს, პოლისში მითითებულ ნომერზე. ასევე, მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა;

7.1.6. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე ქონების არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება გაიცემა მზღვეველის მიერ;

7.1.7. შეატყობინოს მზღვეველს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სადაზღვევო რისკის მზღვეველის მიერ შეფასებაზე. მზღვეველი, რისკის ხარისხის გაზრდის შესახებ შეტყობინების მიღების შემდგომ, უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვევის

ხელშეკრულების ცვლილება ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა, რისკის ხარისხის ზრდის შესაბამისად.

7.1.8. მზღვეველს მიანოდოს ზარალის დარეგულირებისათვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, ასევე მზღვეველის მხრიდან ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის საჭირო ყოველგვარი დოკუმენტაცია. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში და მისცეს უფლება, მისი სახელით წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი;

7.1.9. ნებისმიერ დროს უზრუნველყოს მზღვეველის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, მზღვეველის მიერ დანიშნული ნებისმიერი ექსპერტისა და შემფასებლის მიერ დაზღვეული ქონების დათვალიერება; 7.1.10. დაზღვევის ხელშეკრულების დასადავად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი არსებითი ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან 3 (სამი) სამუშაო დღისა; 7.1.11. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ - პრეტენზია; ბ) სადაზღვევო პოლისის ასლი; გ) დაზიანებულ/განადგურებულ ქონებაზე საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ) კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ

გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო შემთხვევის ფაქტი და მიზეზები: დ)

კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ გარემოებების დაზუსტებისათვის და ზარალის ოდენობის შეფასებისათვის აუცილებელი, მის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა აუცილებელი საბუთი.

7.2 მზღვეველი ვალდებულია:

7.2.1 გააცნოს დამზღვევეს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობები;

7.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა იმ სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლებსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;

7.2.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის, ან მოსარგებლის მიმართ მხარეთა შორის ზარალის ოდენობაზე საბოლოო წერილობითი შეთანხმების - სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე - ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2.4. არ გაახმაუროს მონაცემები დამზღვევისა და მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

7.3 მზღვეველი უფლებამოსილია:

7.3.1. დაათვალიეროს დაზღვევის განაცხადში მითითებული ობიექტი, გაეცნოს მისი შენახვისა და ექსპლუატაციის პირობებს, შესაბამის

დოკუმენტაციას, დამოუკიდებლად ან სპეციალური ორგანიზაციის მეშვეობით ჩაატაროს მისი ექსპერტიზა;

7.3.2. მოითხოვოს დამზღვევისგან და შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისგან ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის ან სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად, ასევე დამოუკიდებლად გამოიკვლიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიზეზები და გარემოებები, ან დანიშნოს ექსპერტიზა;

7.3.3. მისცეს დამზღვევს მითითებები სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით ჩასატარებელი ქმედებების შესახებ;

7.3.4. რისკის ხარისხის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა;

7.3.5. მოითხოვოს დამზღვევისაგან საკუთრების უფლების გადაცემა შეცვლილ/ჩანაცვლებულ ქონებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაგრამ ქონების ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შემთხვევაში დაკარგული ქონების პოვნის შემთხვევაში - ნაპოვნ ქონებაზე.

8. სადაზღვევო ანაზღაურება

8.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ ჯამურად გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისში განსაზღვრულ ჯამურ სადაზღვევო თანხას/ პასუხისმგებლობის ლიმიტს (ყოველი კონკრეტული ქონებისათვის ანაზღაურება გაიცემა მისთვის პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხის ფარგლებში).

8.2 დაზღვეული ქონების სრული განადგურების შემთხვევაში, ქონების ღირებულება განისაზღვრება მისი რეალური ღირებულებიდან გამომდინარე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის შესაბამისი ფრანშიზის ოდენობის გამოკლებით.

8.3 ქონების სრული განადგურების შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას მიიღოს გადანყვეტილება ქონების ნარჩენი ღირებულების სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოკლების თაობაზე, ასეთ შემთხვევაში დამზღვევს არ ექნება ქონების გადარჩენილ ნაწილებზე უარის თქმის უფლება, ხოლო თუ მზღვეველი მიიღებს გადანყვეტილებას გასცეს ანაზღაურება ქონების ნარჩენი ღირებულების გამოკლების გარეშე, დამზღვევს წარმოექმნება ვალდებულება გადასცეს მას საკუთრების უფლება იმ ქონებაზე, რომელიც მიიჩნევა მთლიანად განადგურებულად; 8.4 ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში მისი ღირებულება განისაზღვრება უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად საჭირო დანახარჯების მიხედვით;

8.5 წინამდებარე პირობების მიზნებისთვის დაზღვეული ქონება ჩაითვლება სრულად განადგურებულად, თუ ხარჯები მისი შეკეთებისა და აღდგენისათვის გადააჭარბებს მისი რეალური ღირებულების 70%-ს; 8.6. სადაზღვევო ანაზღაურება მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

8..6.1. ქონების აღსადგენად ან შესაკეთებლად საჭირო მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯებს;

8.6.2. სარემონტო სამუშაოების ჩატარების ღირებულებას (სახელფასო დანამატები ზეგანაკვეთური მუშაობისთვის, ღამის საათებში და ოფიციალურ დღესასწაულებზე).

მუშაობისთვის ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე მხარეები წინასწარ წერილობით შეთანხმდებიან).

8.6.4 მასალების რემონტის ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯებს, ასევე სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია დაზღვეული ობიექტის აღსადგენად იმ მდომარეობამდე, რომელშიც იგი იმყოფებოდა უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე (ცვეთის გათვალისწინებით). სადაზღვევო ანაზღაურებაში შემავალი აღდგენის ხარჯები გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევის თარიღისთვის მოქმედი საბაზრო ფასებიდან გამომდინარე.

8.7. ზარალის მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მზღვეველის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა და ასევე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული საბუთები;

8.8. მზღვეველი ანაზღაურებს წინასწარი შეკეთების ხარჯებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეკეთება საბოლოო შეკეთების ნაწილს შეადგენს და თუ ის არ ზრდის შეკეთების საერთო ხარჯებს.

8.9. დამზღვევის კუთვნილი სადაზღვევო ანაზღაურებიდან დაკავდება მის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი.

8.10. თუ დამზღვევს, ან მოსარგებლეს აუნაზღაურდა ზარალი მესამე პირის მიერ, მზღვეველი გადაიხდის მხოლოდ სხვაობას დაზღვევის პირობებით ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირისგან მიღებულ თანხას შორის. დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს ასეთი თანხების მიღების შესახებ.

8.11. მზღვეველის მიერ უარი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დამზღვევეს წარედგინება წერილობითი ფორმით, უარის დასაბუთებული მიზეზის მითითებით.

8.12. დამზღვევისთვის ასანაზღაურებელი ზარალის შემცირების მიზნით გაღებული ხარჯი, თუ ასეთი ხარჯი აუცილებელი იყო ან მზღვეველის მითითებით იყო გაღებული, ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას იმ შემთხვევაშიც, თუ მიღებული ზომები უშედეგო აღმოჩნდა.

8.13. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ყოველთვის ხორციელდება სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის გათვალისწინებით.

8.14. მზღვეველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე შემდეგ შემთხვევებში:

8.14.1. თუ დაზღვეული ქონების ცვლილებებისა და გაუმჯობესებისთვის განუღებია დამატებითი ხარჯები;

8.14.2. თუ დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის მიერ ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან;

8.14.3. თუ დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი ქონების გადასარჩენად აუცილებელი ზომების მიღებას.

8.14.4. თუ დამზღვევის მიერ დარღვეულია წინამდებარე პირობებით განსაზღვრული რომელიმე ვალდებულება.

9. მარაგების დაზღვევის განსაკუთრებული პირობა

წინამდებარე პირობებით დაზღვევას ექვემდებარება მხოლოდ ის მარაგები, რომლებიც განლაგებულია მიწის დონიდან არანაკლებ 15 სანტიმეტრის სიმაღლეზე მდებარე თაროებზე ან სტელაჟებზე.

10. სადაზღვევო პოლისის მოქმედების შეწყვეტა

10.1. სადაზღვევო პოლისის მოქმედება შესაძლოა შეწყდეს ამ მუხლით გათვალისწინებული წესით, დაზღვევის ან მზღვეველის ინიციატივით; 10.2. მზღვეველის მხრიდან გაფრთხილებისა და დაზღვევისათვის დამატებითი ვადის დაწესების გარეშე, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები მთლიანად შესრულებულია;

ბ) თუ დაზღვეული ქონება აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებით);

გ) თუ ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებით);

დ) თუ სადაზღვევო რისკის ზრდა დაზღვევის, მისი წარმომადგენლის ან დაზღვევის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

10.3. მზღვეველის მხრიდან დამზღვევისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დამზღვევმა არ შეასრულა წინამდებარე პირობებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულება;

ბ) თუ დამზღვევმა რისკის ხარისხის ზრდის შემთხვევაში უარი თქვა მზღვეველის მიერ შეთავაზებულ ახალ პირობებზე;

გ) მზღვეველის ინიციატივით, ნებისმიერ დროს.

10.4. დაზღვევა ასევე შეწყდება:

ა) შესაბამისი პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლით;

ბ) თუ მზღვეველი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;

გ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით;

დ) თუ დამზღვევის მიერ დაზღვეული ობიექტის გასხვისებისას, მზღვეველს არ სურს ობიექტის ახალ მესაკუთრესთან დაზღვევის ხელშეკრულების გაგრძელება და დამზღვევს ერთი თვით ადრე შეატყობინებს ამის შესახებ;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

10.5. თუ დამზღვევს სურს დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა, მან ამის თაობაზე მზღვეველს უნდა აცნობოს წერილობითი ფორმით, შეწყვეტამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში, უკან

დასაბრუნებელი პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაანგარიშდება ჯამური პრემიიდან გაუქმების თარიღისათვის გამოუმუშავებელი ნაწილის 10%-ის გამოკლებით. თუ ზარალი ანაზღაურდა გაუქმების მოთხოვნამდე, გაუქმებისას დამზღვევი ვალდებულია, პრემია სრულად გადაიხადოს, ხოლო გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება. სრული ზარალის შემთხვევაში კი, ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება დაზღვევის პერიოდის დასასრულამდე დარჩენილი გადასახდელი პრემიის ოდენობა.

11. რეგრესის წესი

11.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე გადადის დამზღვევის ან მოსარგებლის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირისგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, გაცემული სადაზღვევო

11.2. დამზღვევი და მოსარგებლე ვალდებული არიან გადასცენ მზღვეველს ყველა საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მზღვეველის მიერ მასზე გადასული მოთხოვნის უფლების განსახორციელებლად.

11.3. დამზღვევი და მოსარგებლე ვალდებულნი არიან საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყონ მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში და მისცენ უფლება, მისი

11.4. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი ან მოსარგებლე უარს განაცხადებს მზღვეველისათვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდება დამზღვევის ან მოსარგებლის ქმედებით, მზღვეველი

გათავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უკვე გადახდილი აქვს სადაზღვევო ანაზღაურება, წარმოეშვება უფლება მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

12. ორმაგი დაზღვევა

12.1 დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულ ქონებასთან მიმართებაში სხვა სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული ყველა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.

12.2 სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროისთვის თუ აღმოჩნდება რომ დაზღვეული ქონება დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, მზღვეველი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი პოლისისათვის დამზღვევს/მოსარგებლეს აუნაზღაუროს ზარალი ჯამურ სადაზღვევო თანხაში თავისი წილის პროპორციულად.

12.3 ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, თავიანთი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 წინამდებარე პირობებთან და სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით; შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს, რომელიც დავას განიხილავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სექცია II: საქმიანობის შეწყვეტის შედეგად შემოსავალი დაკარგვა

1. დაზღვევის ობიექტი

მზღვეველი იღებს ვალდებულებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევზე, მის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის წინაპირობითა და პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში წინამდებარე პირობების სექცია I-ით გათვალისწინებული დაზღვეული რისკების ხლომილების შედეგად განადგურდა ან დაზიანდა პოლისის პირველ სექციაში მითითებული დაზღვეული ქონება, რამაც თავისმხრივ გამოიწვია საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა.

2. ზოგადი დებულებები

2.1. მზღვეველი ანაზღაურებს საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის შედეგად მიყენებულ ზარალს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა დაზიანებული დაზღვეული ქონების აღსადგენად ან ჩასანაცვლებლად, მაგრამ არაუმეტეს პოლისში მითითებული მაქსიმალური ანაზღაურების პერიოდისა და სადაზღვევო თანხისა (ანაზღაურების ლიმიტი);

2.2. წინამდებარე დამატების მიხედვით დაფარვა მოქმედებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს პოლისში მითითებულ მისამართზე, უძრავი ან/და მოძრავი ქონების ფიზიკური განადგურების, დაზიანების ან დანაკარგის გამო (რომელიც გამოწვეულია პირველი სექციით გათვალისწინებული დაფარული რისკებისგან გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით) საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში;

2.3. სადაზღვევო ანაზღაურება მოიცავს თანხის იმ მოცულობას, რა ოდენობითაც შემცირდა დამზღვევის ბრუნვა საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის შედეგად. დამზღვევის დღიური ბრუნვის მოცულობა განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე ბოლო 180 დღის საშუალო დღიური ბრუნვის ოდენობით.

2.4. ანაზღაურება მზღვეველის მიერ გაიცემა იმ პერიოდის განმავლობაში რომელიც საჭიროა ჯეროვანი და დროული მოქმედებებით დაზიანებული ან განადგურებული ქონების აღსადგენად ან შესაკეთებლად. აღნიშნული პერიოდი იწყება განადგურების, დაზიანების, ან დანაკარგის შემთხვევის შემდგომ პოლისში მითითებული მოცდის პერიოდის (ფრანშიზა) გასვლის დღიდან და შემოიფარგლება პოლისში მითითებული ანაზღაურების პერიოდით;

2.5. მზღვეველის მხრიდან არ მოხდება საქმიანობის შეჩერებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიღება, მანამ სანამ არ იქნება საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული დაზღვეული ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების გაცემასთან დაკავშირებით; იმ შემთხვევაში თუ დამზღვევს უარი ეთქვა ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სადაზღვევო პირობების შესაბამისად, მზღვეველი არ განიხილავს საქმიანობის შეჩერებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხს. წინამდებარე დებულება არ ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც დამზღვევს არ აუნაზღაურდება ზარალი იმ მიზეზით რომ ზარალის მოცულობა არ აღემატება პოლისში დაფიქსირებულ ფრანშიზის ოდენობას;

2.6. დამზღვევი ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა: თავიდან აირიდოს ან შეამციროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობა; მაქსიმალურად მცირე ვადებში

აღადგინოს საქმიანობა; უმოკლეს ვადებში აღადგინოს დაზიანებული/განადგურებული ქონება; წინამდებარე პუნქტის მოთხოვნების დამზღვევის მხრიდან განზრახ შეუსრულებლობა, ან დროში გაჭიანურებული შესრულება შეიძლება გახდეს საფუძველი ანაზღაურების გაცემაზე მზღვეველის მხრიდან უარის თქმის ან ასანაზღაურებელი თანხის შემცირების.

3. გამონაკლისები

3.1. წინამდებარე დაზღვევა არ ფარავს ისეთ ზარალს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამონვეულია.

3.1.1. სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაწესებული შეზღუდვით მშენებლობის, სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე ან საქმიანობის განხორციელებაზე;

3.1.2. ნებისმიერი ლიცენზიის, კონტრაქტის ან შეკვეთის შეჩერებით ან შეწყვეტით და ზარალს გამონვეულს ქონების გადაკეთებით, თავიდან აშენებით ან მისი გადაადგილებით;

3.1.3. ზარალის აღმოსაფხვრელად ჩასატარებელი სამუშაოების განზრახ შეფერხებით;

3.1.4. დამზღვევის ფინანსების უკმარისობა განადგურებული, დაზიანებული ქონების დროულად აღსადგენად/ასაშენებლად;

3.1.5. იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლით, შეჩერებით ან შეწყვეტით, რომელსაც ადგილი ექნება დაზიანებული/განადგურებული ობიექტების აღდგენის შემდეგ ისეთ დროს როდესაც შესაძლებელია ბიზნეს საქმიანობის განახლება ძალაში რომ დარჩენილიყო იჯარის ხელშეკრულება

3.2. სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზა მზღვეველის მიერ გამოიყენება თითოეული და ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დროს ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისას.


4. ტერმინთა განმარტებები

ანაზღაურების ლიმიტი - ანაზღაურების მაქსიმალური მოცულობა, პოლისში მითითებული ანაზღაურების პერიოდის განმავლობაში **მაქსიმალური ანაზღაურების პერიოდი** - პოლისის მეორე სექციაში დაფიქსირებული პერიოდი რომლის განმავლობაშიც მზღვეველი ვალდებულია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევზე წინამდებარე დანართის პირობების შესაბამისად სადაზღვევო თანხის (პასუხისმგებლობის ლიმიტი) ფარგლებში .

ფრანშიზა - დროის ის მონაკვეთი რომელიც აითვლება ზარალის ხდომილების თარიღიდან და რომლის განმავლობაშიც არ მოხდება ზარალის ანაზღაურება მზღვეველის მხრიდან. ამ პერიოდის დროს დამდგარი ზარალი ანაზღაურებას არ ექვემდებარება.


[<http://tinsurancegeo-marketing.s3.amazonaws.com/PRO%20005-18.pdf>]

მოზიდული სადაზღვევო პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით (მლ ლარი)
2018 სკვ - 2017 სკვ



ნახაზი 1.

2018 წლის I კვარტალში კონცხის დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემია და ბაზრის წილი კომპანიების მიხედვით
სულ 15,20 მლ. ლარი



ნახაზი 2.

საქართველოში უძრავი ქონების დაზღვევის თანამედროვე მდგომარეობა

საქართველოში პირველი სადაზღვევო კომპანია 1990 წელს დაარსდა, ხოლო საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური 1997 წლიდან ფუნქციონირებს. ამ პერიოდისათვის (1997 წელი) ქვეყანაში უკვე რეგისტრირებული იყო 25 სადაზღვევო კომპანია, 2017 წლის ბოლოს კი მათი რიცხვი 17-ს შეადგენს. [საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიების რეესტრი, [<http://insurance.gov.ge/Useful-Information.aspx>].

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ 2017 წლის ბოლოს სადაზღვევო ბაზარს, რომელიც წარმოდგენილი იყო 16 სადაზღვევო კომპანიით დაემატა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ახალი, რიგით 17-ე სადაზღვევო კომპანია - "სს ჰუალინგ დაზღვევა", რომლის აქციების 100% მფლობელია "ბაზის ბანკი". კომპანიამ ლიცენზია მიიღო "სიცოცხლის დაზღვევის და დაზღვევის (არასიცოცხლისა)" სახეების საქმიანობის განხორციელებისათვის. წარმოდგენილი 16 სადაზღვევო კომპანია ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი კომპანია, მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას [<http://insurance.gov.ge/Statistics.ge>].

ქვეყანაში არსებული სადაზღვევო კომპანიები მომხმარებელს მრავალფეროვან სადაზღვევო პროდუქტებს სთავაზობენ, რომელთა რიცხვიც 2017 წლის ბოლოს 18-ს აღწევს.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო ბაზარი ნელა ვითარდება, მაინც შეინიშნება ზრდის ტენდენცია. სადაზღვევო ბაზრის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, რაც დაკავშირებული იყო წყალდიდობებთან (თბილისის სტიქია), ხანძრებთან

სახელმწიფოს და მოქალაქეებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ქვეყანაში სადაზღვევო კულტურა დაბალ დონეზეა და საჭიროებს გარკვეულ სტიმულირებას, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ჩამოყალიბებულია. არსებობს დაზღვევის პროდუქტი, სადაზღვევო მომსახურება, არსებობენ სადაზღვევო მომსახურების გამყიდველები, რომლებიც წარმოდგენილია სადაზღვევო კომპანიების სახით, არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ბაზა დაფუნქციონირებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დაზღვევის ზედამხედველობის დეპარტამენტი. სადაზღვევო კომპანიათა რაოდენობა ყოველ წელს იცვლება. დღეის მდგომარეობით სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში რეგისტრირებულია 14 სადაზღვევო კომპანია, ესენია: აისიჯუფი, ალდაგი, ალფა, არდი, იმედიL, ირაო, კამარა, კოპენბურგი, PSP დაზღვევა, სტანდარტდაზღვევა, ტაო, უნისონი, ქართუ დაზღვევა დაჯიპიაი. მათ თავიანთი როლი შეასრულეს სადაზღვევო ბაზრის ფორმირებაში. [ჭ.მათირიშვილი, ნ.კაკაშვილი, 2008: 145-148]

სადაზღვევო კომპანიების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ, დევი ხეჩინაშვილმა ქონების დაზღვევასა და დაზღვევის პროცედურებთან დაკავშირებულ სირთულეებზე ისაუბრა. მისი თქმით, ბიზნესის მფლობელმა თავად უნდა იზრუნოს საკუთარი ქონების დაზღვევასა და მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილებაზე. ინფორმაციას Itv ავრცელებს.

"ქონების დაზღვევა არ არის ფუფუნება, ის ადამიანმა უნდა წარმოიდგინოს როგორც ერთ-ერთი ხარჯი, მაგალითად როგორცაა სანარმოო და საწყობის ხარჯები.

ამ პროცესში საკმაოდ რთულია ბაზრობების დაზღვევა, იმიტომ, რომ თითქმის ორ თვეში ერთხელ გვესმის, რომ ბაზრობა იწვის, რისი მიზეზიც, ძირითადად, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევაა. ეს

მნიშვნელოვანი პრობლემაა. ეს არის ნამდვილი, დიდი რისკი, რომელიც სადაზღვევო კომპანიამ უნდა აიღოს თავის თავზე და არ უნდა იყოს ისეთი წარმოდგენა, რომ დაზღვევა ხურდაში უნდა გამოყვეს.

ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთი რამ, რომ ეს სახელმწიფო პროექტი ძირითადად მაინც სოციალური ხასიათისაა. გუშინდელი დღე ნათელი მაგალითია იმისა, რომ ადამიანებს სავაჭრო ცენტრში 100 ათასობით ლარის საქონელი შეიძლება ჰქონოდათ და ამ ადამიანებს პირდაპირ უნდა ვუთხრათ, რომ ეს მათ თვითონ უნდა დააზღვიონ და მხოლოდ ასე იქნებიან დაცულნი ზარალისგან" - თქვა ხეჩინაშვილმა.

მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილების თანახმად, მფლობელების მიერ მესამე პირის დაზღვევა იმოქმედებს შემდეგ ობიექტებზე:

სავაჭრო ცენტრი; ბაზრობა (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციისათვის განკუთვნილი სპეციალური სავაჭრო ზონის ან ავტობაზრობისა);

ავტოგასამართი ან/და აირგასამართი სადგური და სასტუმრო (100 და მეტადგილიანი სასტუმრო, დასასვენებელი სახლი).

დადგენილების თანახმად, სავაჭრო ცენტრის/ბაზრობის შემთხვევაში დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე სადაზღვევო ლიმიტი განისაზღვრება 300 000 ლარით; ხოლო ობიექტში კომერციული საქმიანობით დაკავებული მენარმე სუბიექტის ქონებისთვის (მოძრავი ქონება, მარაგები) მიყენებულ ზიანზე – ობიექტში ფუნქციონირებადი კომერციული ობიექტების რაოდენობის ნამრავლით 15 000 ლარზე, არაუმეტეს 15 მილიონი ლარისა.

სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, 2017 წელს ქვეყანაში სულ 15 222 ხანძრის შემთხვევა დაფიქსირდა, რაც 39%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ

პერიოდთან შედარებით. 2016 წელს საქართველოში ხანძრის 10 951 შემთხვევა გამოვლინდა.

[<https://imedinews.ge/ge/ekonomika/50610/devi-khechinashvili-saqartveloshi-gonebis-dazgvevis-kultura-ar-arsebobs>]

საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

სსსადაზღვევო კომპანია „ჯიპიაიჰოლდინგი“-დაარსდა 2001 წლის 8 მაისს, როგორც პირველი კერძო საპენსიო ფონდი საქართველოში, ორგანიზაცია ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“-ს წევრია. „ჯი პი აი ჰოლდინგი“ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე აქტიურად შევიდა 2002 წლის დასაწყისიდან და საქმიანობის პირველსავე წელს მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია დაზღვევის სხვადასხვა სფეროში.

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“-1990 წლიდან პირველი სადაზღვევო კომპანია, რომელიც საქართველოში დაზღვევის კულტურასა და ისტორიას ქმნის. ალდაგი კორპორატიულ და საცალო მომხმარებლებს ქონების და სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან და ინოვაციურ მომსახურებას სთავაზობს.

სს სადაზღვევო კომპანია „ევროინს საქართველო“-ევროინს ჯგუფი ერთ-ერთ უმსხვილეს სადაზღვევო კომპანიას წარმოადგენს, რომელიც ოპერირებს ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე. კომპანია ორიენტირებულია სადაზღვევო პროდუქტების სრულ სპექტრზე. ბულგარეთში დაფუძნებული სადაზღვევო კომპანია წარმოდგენილია ევროპის 8 ქვეყანაში.

12 წლიანი გამოცდილების მქონე სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი უკვე „ევროინს საქართველოს“ სახელითაა წარმოდგენილი ქართულ ბაზარზე და

სრულად დანერგავს ევროპული სადაზღვევო კომპანიის პრაქტიკას, საერთაშორისო გამოცდილებას და ევროპაში აპრობირებულ თანამედროვე დაზღვევის სისტემას, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე.

სსდაზღვევისსაერთაშორისოკომპანიაირაო -2004 წელს დაარსდა. 2007 წლიდან კომპანიის ძირითადი აქციონერი-ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია-ავსტრიული, ვენის სადაზღვევო ჯგუფი (Vienna Insurance Group AG Wiener Versicherung Gruppe VIG) ხდება. 2010 წლიდან ირაო საერთაშორისო ხარისხის მართვის სისტემის სერთიფიკატის ISO 9001:2008 მფლობელია დაზღვევის და გადაზღვევის მომსახურების, სიცოცხლის და არა სიცოცხლის დაზღვევის კორპორატიულ და საცალო სეგმენტში.

სსსადაზღვევოკომპანია “იმედი L” -საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია და ამავე დროს ალდაგის ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებაა, რომელიც 2014 წლის 1 აგვისტოდან წარსდგა სადაზღვევო ბაზარზე. „იმედი L“ როგორც ინდივიდუალურ, ასევე კორპორატიულ მომხმარებელს ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევის კუთხით ინოვაციურ პროდუქტებსა და მაღალი ხარისხის სერვისს სთავაზობს.

სს „ქართუდაზღვევა“- სს „ქართუ დაზღვევა“ დაფუძნდა 2001 წლის 13 სექტემბერს. ძირითადი დამფუძნებელია (კაპიტალის 82.27%-ის მფლობელი) სს „ბანკი ქართუ“. 2001-2013 წლებში კომპანია ემსახურებოდა „ქართუ ჯგუფი“-ს წევრ კომპანიებს და ახორციელებდა ჯანმრთელობის დაზღვევის სოციალურ პროგრამას საჩხერის რაიონში. 2014 წლიდან აქტიურად გამოჩნდა სადაზღვევო ბაზარზე და უკლებლივ ყველა მომხმარებელს

(იურიდიულ და ფიზიკურ პირებს) სთავაზობს მომსახურების სრულ პაკეტს სიცოცხლისა და არა სიცოცხლის დაზღვევის ყველა სახეობაში. სადაზღვევო კომპანიას გააჩნია წარმომადგენლობები როგორც ბათუმში, ფოთში და თელავში, ასევე პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებებისა და ფარმაცევტული კომპანიების ფართო ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბით. კომპანია თანამშრომლობს უმსხვილეს საერთაშორისო საბროკერო და გადამზღვევ ორგანიზაციებთან: Syndicates of Lloyd's, Allianz, ACE, HDI-Gerling, Munich Re, SCOR, Hannover Re, Polish Re, Zurich, AXA, Partner Re, Everest, Catlin Re, Trans Re, Trust Re, Sava Re, CHUBB, Generali, General Insurance Corporation of India, AON, Marsh, Mapfre Re, Atradius Re, Ingosstrakh, Willis.

სს „საერთაშორისოსადაზღვევოკომპანიაკამარა“ - „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“ 2013 წელს დაარსდა. იგი ქართულ-თურქული კომპანიაა და 100%-იანი თურქული ინვესტიციითაა შექმნილი. კომპანია როგორც კერძო, ასევე კორპორატიულ მომხმარებელს არა სიცოცხლის დაზღვევის სრულ პაკეტს სთავაზობს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა პროგრესულად ვითარდება და მომხმარებლებს მოთხოვნაზე ორიენტირებულ სადაზღვევო პროდუქტებს სთავაზობს.

სს "სადაზღვევოკომპანიაუნისონი"-2011 წლის დასაწყისში დაფუძნდა. "უნისონი" მძლავრი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და გადამზღვეველების პარტნიორია და მის მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო დაფარვები გადაზღვეულია რეიტინგულ გადამზღვევ კომპანიებში (Hannover Re, Polish Re, Allianz, SCOR, Transatlantic Re, Lloyd' s of London, Ace European Group, VIG Re).კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სრულ სადაზღვევო პაკეტს როგორც კორპორატიულ, ასევე ფიზიკური პირებისათვის.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“-დაფუძნდა 2007 წელს სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“-ს სახელწოდებით, აზერბაიჯანის უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის „სტანდარტ დაზღვევის“ მიერ, რომელიც 20 მილიონი ევროს კაპიტალით, 13 წლიანი წარმატებული ისტორიით და ძლიერი საერთაშორისო პარტნიორებით უპრეცედენტო ლიდერია აზერბაიჯანის სადაზღვევო ბაზარზე. სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“-მ, 2018 წლის 23 თებერვლიდან შეიცვალა საფირმო სახელწოდება და გახდა სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“. კომპანია პროგრესულად განვითარებადი სადაზღვევო კომპანიაა, რომელიც მომხმარებელთან ხანგრძლივ ვადიან ურთიერთობასა და ნდობაზეა დაფუძნებული.

სს „თიბისი დაზღვევა“-2016 წლის ბოლოს თიბისი ჯგუფმა სადაზღვევო კომპანია „კოპენბური“ შეიძინა და დღეს ის უკვე „თიბისი დაზღვევის“ სახელით საქმიანობს. ისევე, როგორც თიბისი ბანკისთვის, თიბისი დაზღვევისთვისაც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი თანამედროვე ტექნოლოგიები და ციფრული მომსახურებებია. ეს პრიორიტეტი კი მომსახურებაზეც აისახება. ტარიფებისა და მომსახურებების თვალსაზრისით, ახალი ბრენდი თიბისური მენეჯმენტითა და მართვის სტილით სადაზღვევო სფეროშიც ახალ ხელწერასა და მეტ აქტიურობას შეიტანს. თიბისი ბანკის ფილიალებში უკვე იყიდება თიბისი დაზღვევის პროდუქტები: ავტო დაზღვევა, ავტო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ქონების დაზღვევა, საკრედიტო პასუხისმგებლობის დაზღვევა და სამოგზაურო დაზღვევა, როგორც საცალო, ისე კორპორატიული სეგმენტისთვის.

სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტსჯორჯია“ – პირველი საერთაშორისო, რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია საქართველოში. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ახალმა, საერთაშორისო რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანიამ „გლობალ

ბენეფიტს ჯორჯიამ“ დაიწყო ოპერირება. კომპანიის ძირითადი დამფუძნებლები არიან: საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია Global Benefits Group და ქართული ჰოლდინგური კომპანია - „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (GIG). Global Benefits Group (GBG) არის 1981 წელს დაფუძნებული ამერიკული საერთაშორისო სადაზღვევო ჯგუფი და წამყვანი გლობალური ბრენდი სიცოცხლის დაზღვევისა და ჯანმრთელობის მიმართულებით. კომპანიას აქვს ოპერირების 36-წლიანი გამოცდილება გლობალურ ბაზარზე, წარმოდგენილია მსოფლიოს 120 ქვეყანაში და ვაჭრობს ლონდონის საფონდო ბირჟაზე. GBG-ის სამედიცინო პროვიადერთა ქსელში გაერთიანებულია 10 000-ზე მეტი სამედიცინო დაწესებულება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან. საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (GIG) 20-წლიანი გამოცდილების ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ჰოლდინგია საქართველოში, რომელიც დივერსიფიცირებულ ბიზნეს პორტფელს ფლობს, საქართველოს ენერჯო სექტორზე მკაფიო აქცენტით. გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ GBG-ის ოფიციალური რეგიონალური წარმომადგენელია საქართველოში და ახორციელებს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებრივი, ასევე, მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევას კორპორატიული სეგმენტისათვის. პროდუქტებისა და მომსახურების შექმნისას კომპანია ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით ხელმძღვანელობს, რადგან ორგანიზაციისა თუ პიროვნების რისკები უნიკალურია და სწორედ ამიტომ, მხოლოდ რისკების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად შეიძლება, საჭიროებებზე იდეალურად მისადაგებული სადაზღვევო გეგმის შექმნა. „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას“ მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, მისი სადაზღვევო პროდუქტების საერთაშორისო განზომილება და მომსახურები განსაკუთრებით მაღალი სტანდარტია.

სსსადაზღვევო კომპანია „ალფა“-დაარსდა 2009 წლის 2 ივნისს. დამფუძნებელია „ავერსი ფარმა“. კომპანია 100%-ით ქართულ კაპიტალზეა

დაფუძნებული. დღეს ალფა ახორციელებს ლიცენზირებულ სადაზღვევო საქმიანობას დაზღვევის ყველა სახეობაში, მათ შორის: ჯანმრთელობის, ავტომობილების, სამოგზაურო, ტვირთების, ქონების, სტომატოლოგიური, სიცოცხლის, პასუხისმგებლობის და უბედური შემთხვევისგან დაზღვევა. სადაზღვევო პროდუქტების საიმედოობას განაპირობებს საერთაშორისო მაღალრეიტინგული გადამზღვევი კომპანიები. ალფას განვითარება და წინსვლა ყოველთვის მომხმარებლის მოთხოვნების და სურვილების გათვალისწინებით იგეგმება, რაც არის მისი, როგორც კომპანიის განვითარების საფუძველი.

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი „აი ჯი ჯი“ ქართულ ბაზარზე ოპერირებს 2017 წლიდან, მისი მენეჯმენტი სადაზღვევო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კადრებითაა დაკომპლექტებული. „აი ჯი ჯი“ მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვანი და მომხმარებლისთვის აუცილებელი დაფარვებით შექმნილ პოლისებს. ქონების, ავტომობილებისა და ტვირთების დაზღვევის კომპონენტში კომპანია სარგებლობს სავალდებულო გადაზღვევის ხელშეკრულებით AA- რეიტინგის მქონე მსოფლიოში უმსხვილეს გადამზღვეველ კომპანიებთან Scor (www.scor.com), Hannover Re; აგრო დაზღვევის კუთხით „აი ჯი ჯი“-ს გადამზღვეველია Munich Re. საქართველოს სადაზღვევო ჯგუფსა და გადამზღვეველ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტები უზრუნველყოფენ საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის სადაზღვევო პორტფელის საიმედოობასა და სტაბილურობას. ამასთანავე საშუალებას ეძლევათ კომპანიის კლიენტებს ისარგებლონ დაზღვევის საუკეთესო პირობებით.

სს „არდიდაზღვევა“ წარმატებული ქართული ბრენდია სადაზღვევო ბაზარზე. კომპანიის ისტორია 2010 წლიდან იწყება და დაარსების დღიდან ორიენტირებულია ინოვაციებზე, ახალ მიდგომებზე და მომსახურების

ხარისხის სრულყოფაზე. ამ მიზნების გათვალისწინებით „არღი დაზღვევა“ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი კომპანიაა მრავალფეროვანი სადაზღვევო პორტფელით. ემსახურება როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე მცირე, საშუალო და მსხვილ კორპორაციებს. მათ შორის საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებს და დიპლომატიურ მისიებს. დაარსების დღიდან კომპანიის სათავეში დგას მრავალწლიანი სადაზღვევო გამოცდილების მქონე მმართველი გუნდი, რაც კომპანიის დინამიური და წარმატებული განვითარების კიდევ ერთი წინაპირობაა.

სსსადაზღვევო კომპანია „ჭუალინგ დაზღვევა“-2017 წლის ბოლოს „ჭუალინგ ჯგუფმა“ საქართველოში საფინანსო სექტორში ინვესტიცია გაათართოვა და ბაზისბანკის ჰოლდინგს შეემატა ახალი შვილობილი კომპანია-„ჭუალინგ დაზღვევა“. სადაზღვევო კომპანია „ჭუალინგ დაზღვევა“ მსოფლიოში პოპულარული და წარმატებული Bancassurance Model (BIM)-მოდელით ემსახურება მომხმარებლებს. აღნიშნული მოდელი გულისხმობს ძლიერ პარტნიორ ბანკთან თანამშრომლობით რესურსის ეფექტიან გამოყენებას. ბანკის ფილიალების ქსელი სრულიად საქართველოს მასშტაბით უკვე ემსახურება დაზღვევის მომხმარებელს როგორც საცალო, ასევე კორპორატიული მიმართულებით, სთავაზობს უნივერსალურ პროდუქტებს და მოქნილ, სწრაფ სერვისს.

[<http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=3&lang=geo>]

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობა და რეგულაციები

სადაზღვევო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ დაზღვევის რეგულაცია სახელმწიფო ინსტიტუციების დონეზე იყოს სრულყოფილი. ამ მიზნით საქართველოში 1997 წელს შეიქმნა და მიღებული იქნა კანონი დაზღვევის შესახებ. იგი შედგება შვიდი თავისა და 35 მუხლისაგან. ეს კანონი მთლიანად აწესრიგებს ურთიერთობებს დაზღვევის სფეროში სადაზღვევო ორგანიზაციებსა და იურიდიულთუ ფიზიკურ პირებს შორის, აგრეთვე თვით სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის, ადგენს სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითად პრინციპებს.

გარდა აღნიშნული კანონისა ურთიერთობები დაზღვევის სფეროში რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს სხვა კანონებითა და აქტებით.

დაზღვევის საკანონმდებლო ბაზაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია, რომელიც დაარსდა 1996 წელს, იგნარმოადგენს საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა გაერთიანებას. წლების განმავლობაში ასოციაცია ასრულებს მნიშვნელოვან როლს დაზღვევის განვითარებაში. აღნიშნული ასოციაცია რეგულარულად მონაწილეობს სადაზღვევო თემატიკასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვებში .

აქვე აღსანიშნავია 2015 წლის 20 თებერვლის „ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურსა“ და „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ შეთანხმება ურთიერთ - თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ, რომლის ძირითადი მიზანია სადაზღვევო ურთიერთობების განვითარება და სრულყოფა

საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის 2009/138/EC დირექტივის შესაბამისი მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის მიზნით 2016 წლის 8 ივნისს ცვლილებები შევიდა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებების მიზანს წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სიმყარისა და გადახდისუნარიანობის განმტკიცება. დაინერგა ე.წ. მარჯის სტანდარტი, რომელიც ადგენს იმ ვალდებულებათა მოცულობას, რომლის შესრულებაც შეუძლია სადაზღვევო კომპანიას.

მედიაციის სამსახურის მსგავსად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, სურთ შექმნან დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ ძველი ხელისუფლების დროს ხარვეზი იყო ის, რომ სახელმწიფო ზედამხედველობა და რეგულაცია ძირითადად ორიენტირებული იყო სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის მაღალი დონის დაცვაზე და არა - დაზღვეულთა უფლებების დაცვაზე. დღეს, ნაცვლად იმისა, რომ ახალ ხელისუფლებას ამ მიმართულებით ემუშავა, მათ კარდინალურად შეცვალეს დაზღვევისადმი სახელმწიფო დამოკიდებულება და პრაქტიკულად, სახელმწიფო პროგრამებში მთლიანად გააუქმეს სადაზღვევო კომპონენტი და ჯანდაცვის პროგრამა საყოველთაოდ გადააქციეს. მეტიც, ის პროგრამები, რაც ხელისუფლებამ შემოგვთავაზა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სახით, არასრულყოფილია და არ არის გათვლილი რისკები, რაც ამ პროგრამის განხორციელებას უნდა ახლდეს.“ [მ. ლოლაშვილი 05.09.2013: 11-32-59]

2018 წელს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამოქმედდა.

მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამოქმედდა.

სისტემა 5 ათასი ლარის ფარგლებში ყველა ყველა დეპოზიტის დაზღვევას ითვალისწინებს.

2019 წლის დასაწყისიდან საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემა უნდა ამოქმედდეს. რეფორმის ფარგლებში პენსიის დაგროვება სავალდებულო გახდება 40 წლამდე ასაკის დასაქმებულებისთვის, ხოლო 40 წელს გადაცილებულთათვის სისტემაში ჩართვა ნებაყოფლობითი იქნება. ყოველთვიურად დასაქმებულის ხელფასის 6% გადაირიცხება საპენსიო ფონდში, თუმცა მოქალაქეს მხოლოდ 2%-ის გაღება მოუწევს - 2-2%-ს დამსაქმებელი და სახელმწიფო ჩარიცხავენ.

დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებულისთვის შეიძინოს უბედური შემთხვევის დაზღვევა - ეს მუხლი პრომის უსაფრთხოების კანონში ძალაში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შევა. სავალდებულო დაზღვევის შეძენა აუცილებელია ყველა იურიდიული პირისთვის, მათ შორის, ინდემნარმისთვისაც, რომელსაც მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის დადგენილების საფუძველზე მომეტებული საფრთხის შემცველი სამუშაოს შემსრულებლის სტატუსი მიენიჭა. უბედური შემთხვევის შედეგად პრომისუნაროდ დარჩენის ან გარდაცვალების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურებას დაზღვეულ თანამშრომელზე ან მისი ოჯახის წევრზე გასცემს. ასანაზღაურებელი თანხა წინასწარ შეთანხმებული ლიმიტის შესაბამისად განისაზღვრება.

2019 წლის ივლისიდან [კანონი უნდა ამოქმედდეს](#), რომელიც მძღოლებს ახალ სადაზღვევო ვალდებულებებს უჩენს. რეგულაციის მიღებას ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გვავალდებულებს. ამ კანონპროექტით, საკუთარი მანქანის დაზღვევა ძველებურად არასავალდებულოა, მაგრამ ავტოსაგზაო შემთხვევებში მესამე პირის რისკების დაზღვევა აუცილებელი ხდება. რა სარგებელი და რისკები ახლავს

ახალი კანონის ამოქმედებას, რომელსაც „სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა“ ჰქვია და როგორ მუშაობს .

სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის პრინციპები

დაზღვევის სავალდებულო ფორმას შემდეგი პრინციპები განასხვავებენ: სავალდებულო დაზღვევა დგინდება კანონით, რომლის თანახმადაც დამზღვეველი ვალდებულია დააზღვიოს შესაბამისი ობიექტები, ხოლო დაზღვეულებმა შეიტანონ კუთვნილი სადაზღვევო გადასახადები. ჩვეულებრივ, კანონი ითვალისწინებს:

- სავალდებულო დაზღვევას დაქვემდებარებული ობიექტების ჩამონათვალს;
- სადაზღვევო პასუხისმგებლობის მოცულობას;
- სადაზღვევო უზრუნველყოფის დონეს ან მოცულობას;
- სატარიფო განაკვეთების დადგენის წესებს ან ამ განაკვეთების საშუალო სიდიდეებს ადგილებზე მათი დეფენსაციის უფლების მინიჭებით;
- სადაზღვევო გადახდების შეტანის პერიოდულობას;
- დამზღვეველებისა და დაზღვეულების ძირითად უფლებებს.

კანონი, როგორც წესი, სავალდებულო დაზღვევის ჩატარებას სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს, კერძოდ კი სრულად მოიცვას სავალდებულო დაზღვევით კანონში მითითებული ობიექტები. ამისათვის, სადაზღვევო ორგანოები ყოველწლიურად ატარებენ ქვეყანაში დაზღვეული ობიექტების რეგისტრაციას, საგადასახადო გადასახადების დარიცხვას და დადგენილ ვადებში მათ ამოღებას.

ასევე ავალდებულებს სავალდებულო დაზღვევის ავტომატურ გავრცელებას კანონში მითითებულ ობიექტებზე. დაზღვეულმა კი არ უნდა განაცხადოს სადაზღვევო ორგანოში მეურნეობაში დაზღვევას დაქვემდებარებული

ობიექტის გაჩენა, არამედ აღნიშნული ქონება ავტომატურად ჩაირთვება დაზღვევის სფეროში. მორიგი რეგისტრაციის დროს ის მხედველობაში იქნება მიღებული, ხოლო დაზღვეულს წარედგინება გადასახდელი სადაზღვევო შესატანები. ასე, მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს, რომ მოქალაქეთა კუთვნილი ნაგებობები ითვლება დაზღვეულად მათი მუდმივ ადგილზე დადგმისა და სახურავით გადახურვის მომენტიდან.

სავალდებულო დაზღვევის მოქმედება დამოუკიდებელია სადაზღვევო გადასახების შეტანისაგან. იმ შემთხვევებში, როდესაც დაზღვეულმა არ გადაიხადა სადაზღვევო შესატანები, ისინი სასამართლო წესით ამოიღება. დაზღვეული ქონების დალუპვის ან დაზიანების შემთხვევაში, რომელიც არ ანაზღაურებულა საგადასახადო შენატანებით, სადაზღვევო ანაზღაურება ექვემდებარება გადახდას, სადაზღვევო გადახდების დავალიანების გამოქვითვით. ვადაგადაცილებულ სადაზღვევო გადასახადებზე ირიცხება საურავები.

სავალდებულო დაზღვევის უვადობა - ის მოქმედებს მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ დაზღვეული სარგებლობს დაზღვეული ქონებით. დაზღვევას არ ექვემდებარება მხოლოდ უპატრონო და ვადაგასული ქონება. ქონების სხვა დაზღვეულთან გადასვლისას დაზღვევა არ წყდება. ის ძალას კარგავს მხოლოდ დაზღვეული ქონების დალუპვისას.

სავალდებულო დაზღვევისას სადაზღვევო უზრუნველყოფის ნორმირება - სადაზღვევო შეფასებისა და სადაზღვევო ანაზღაურების წესის ანაზღაურების მიზნით დგინდება ერთ ობიექტზე სადაზღვევო ანაზღაურების ნორმები პროცენტებში ან ფულადი სახით. სავალდებულო პირადი დაზღვევისას სრულად მოქმედებენ სრულად მოცვის, ავტომატურობის, სადაზღვევო ანაზღაურების ნორმირების პრინციპები. თუმცა, მას გააჩნია მკაცრად განსაზღვრული შეთანხმებული ვადა და მთლიანად არის დამოკიდებული სადაზღვევო შესატანის გადახდაზე (მაგალითად, მგზავრების სავალდებულო დაზღვევისას).

დაზღვევის ნებაყოფლობითი ფორმა დამყარებულია შემდეგ პრინციპებზე: ნებაყოფლობითი დაზღვევა მოქმედებს კანონის ძალითაც და ნებაყოფლობით სანყისებზეც. კანონი განსაზღვრავს ნებაყოფლობით დაზღვევას დაქვემდებარებულ ობიექტებს და დაზღვევის ყველაზე კარგ პირობებს. კონკრეტული პირობები რეგულირდება დამზღვეველის მიერ შემუშავებული წესებით.

დაზღვევაში ნებაყოფლობითი მონაწილეობა მთლიანობაში დამახასიათებელია დასაზღვეველებისათვის. დამზღვეველს არა აქვს უფლება უარი თქვას ობიექტის დაზღვევაზე, თუ დაზღვეულის ნება არ ეწინააღმდეგება დაზღვევის პირობებს. მოცემული პრინციპი იძლევა დასაზღვეველის მიერ პირველ მოთხოვნისთანავე სადაზღვევო ხელშეკრულების (თუნდაც ზეპირის) დადების გარანტიას. ნებაყოფლობითი დაზღვევით შერჩევითი მოცვა, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ყველა დასაზღვეველი არ გამოქვამს მასში მონაწილეობის სურვილს.

გარდა ამისა, დაზღვევის პირობების მიხედვით, მოქმედებენ ხელშეკრულებების დადების შემზღვევები. ნებაყოფლობითი დაზღვევა ყოველთვის შემზღვეულია დაზღვევის ვადით. ამასთან, ვადის დაწყება და დამთავრება ხელშეკრულებაში განსაკუთრებულადაა განსაზღვრული, თუ სადაზღვევო შემთხვევა დაზღვევის პერიოდში მოხდა. ნებაყოფლობითი დაზღვევის უწყვეტობის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ ხელშეკრულებების ახალი ვადით განმეორებითი დადების გზით. ნებაყოფლობითი დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ სადაზღვევო შენატანების ერთჯერადი ან პერიოდულად გადახდის დროს.

ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლა განპირობებულია სადაზღვევო შენატანის ერთჯერადი და პირველი გადახდით. გრძელვადიანი დაზღვევის მორიგი შესატანის გადაუხდელობა იწვევს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას. ნებაყოფლობითი

დაზღვევის სადაზღვევო უზრუნველყოფა დამოკიდებულია დამზღვეველის სურვილზე.

ქონებრივი დაზღვევის დროს დამზღვეველს შეუძლია განსაზღვროს სადაზღვევო თანხის რაოდენობა ქონების სადაზღვევო შეფასების ფარგლებში. პირადი დაზღვევისას ხელშეკრულების სადაზღვევო თანხა დგინდება მხარეთა შეთანხმებით.

დაზღვევის ყველა სახეობების დღეისათვის არსებული პირობები შემუშავებულია მისი ჩატარების მრავალწლიანი პრაქტიკით, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. ისინი მუდმივად განიცდიდნენ სრულყოფას დაზღვეულის ინტერესების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით. სადაზღვევო ბაზრის განვითარება და დამზღვეველებს შორის კონკურენცია ქმნიან ხელსაყრელ პირობებს დაზღვევის როგორც არსებითი, ისე არარსებითი პირობების განვითარებისათვის.

[https://www.lari.ge/15-dazghvevis-alqimia/143-savaldebulo-da-nebakoflobiti-dazghvevis-principebi.html?page=menu&l menu=15&l menu title=dazghvevis-alqimia&obj_id=143&object_title=savaldebulo-da-nebakoflobiti-dazghvevis-principebi#send_to_friend]

უხოური ქვეყნის მაგალითები

ისეთ ქვეყნებში, როგორც არის იაპონია და აშშ, ძლიერი, კაპიტალისტური, რომელიც მრავალი ათეული წლების განმავლობაში იცის ხალხმა რა არის დაზღვევა.

მე-17 საუკუნეს ბოლოს იზრდება ლონდონის, როგორც სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა. XVII საუკუნის 80-იან წლებში ინგლისში წარმოიქმნა მრავალი მსხვილი სადაზღვევო ორგანიზაცია. მათ ჩამოყალიბებას დიდი სტიმული მისცა 1666 წლის ლონდონის დიდმა ხანძარმა, რომელმაც გაანადგურა 13 200 სახლი და 70 ათასი ადამიანი იმსხვერპლა. ხანძრის რისკი დიდი იყო ქალაქად, რადგან მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში სახლების უმრავლესობა ხისგან იყო გაკეთებული, გარდა ამისა, ცეცხლი უზრუნველყოფდა გათბობას, საკვების მომზადებას, სანთლები გამოიყენებოდა გასანათებლად. ამიტომ ხანძრის რისკი ქალაქად ძალიან მაღალი იყო. სოფლად მეზობლები ერთმანეთს ეხმარებოდნენ ხანძრისგან დამწვარი სახლის აღდგენაში. ამისგან განსხვავებით, ქალაქად მცხოვრებნი მზად იყვნენ გადაეხადათ გარკვეული თანხა სადაზღვევო კომპანიისათვის, რომელიც მათ პირდებოდა: სახანძრო მომსახურებით უზრუნველყოფას (ხანძრის ლოკალიზაციას მომიჯნავე შენობებზე მათი გავრცელების თავიდან

აცილების მიზნით და ახალი ხანძრების მინიმუმამდე დაყვანას) და დაზღვეული პირზე კომპენსაციის გადახდას, რომელიც საკმარისი იყო საჭირო სპეციალისტების (მშენებლები, დურგლები, კალატობები და ა.შ.) დასაქირავებლად დაზიანების თავიდან ასაცილებლად ან დამწვარი სახლის აღსადგენად.

ამ პერიოდიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ჩნდებიან სადაზღვევო საზოგადოებები, რომლებიც მხოლოდ ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევას ეწეოდნენ. 1677 წელს ჰამბურგში შეიქმნა ხანძარსაწინააღმდეგო გენერალური სალარო. მოგვიანებით, XVII საუკუნის დასაწყისში ბერლინში იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ჩართული იყვნენ ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევაში შეიქმნა ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის წესდება. ამავე დროს საფრანგეთში ლუდოვიკო XIV-ის განკარგულებით შეიქმნა დაზღვევის გენერალური ორგანიზაცია.

სადაზღვევო საქმის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ედუარდ ლლოიდს (გარდაიცვალა 1713 წელს). 1688 წელს ედუარდ ლლოიდმა ლონდონის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას, მდინარე ტემზის მახლობლად, ტაუერ-სტრიტზე, სწორედ ნავსადგომებთან ახლოს გახსნა ყავახანა.

ასეთი დაწესებულებები XVII საუკუნეში ძალიან პოპულარული იყო ინგლისში, არა იმის გამო, რომ ინგლისელებს ძალიან უყვარდათ ყავა. ეს იყო ტავერნის, ანუ დუქნების ალტერნატივა, სადაც არისტოკრატიულ წრეებს არ უყვარდათ სიარული, რადგან ასეთ ტავერნებში ხშირად იყო მთვრალეებს შორის ჩხუბები, კინკლაობა და შესაძლოა ვინმეს არისტოკრატიულ შულზე ჭიქაც კი მოხვედროდა. მაღალი ფენის წარმომადგენლები, არისტოკრატიული წრეები, იკრიბებოდნენ ყავახანებში, სადავ ერთმანეთს უზიარებდნენ ახალ ამბებს, ჭორებს, დებდნენ გარიგებებს, პოულობდნენ საჭირო ადამიანებს, ან უბრალოდ ერთმანეთისთვის რამდენიმე სიტყვა ეთქვათ. ლლოიდის ყავახანაში პროფესიული პრობლემების

განსახილველად რეგულარულად იკრიბებოდნენ მზღვეველები, გემების მეპატრონეები, გემების კაპიტნები, ვაჭრები. აქ მათ შეეძლოთ მიეღოთ ახალი საიმედო ინფორმაცია ვაჭრობის შესახებ, დაეზღვიათ თავიანთი 18 ტვირთები და სავაჭრო ხომალდები. მათ მოსწონდათ ყავახანის ფართო დარბაზები და მალე საქმიანი შეხვედრების ყველაზე უფრო სასურველ ადგილად გადაიქცა. შემდეგ იმდენად პოპულარული გახდა ლლოიდის ყავახანა, რომ 1691 წელს ლლოიდმა იგი ბევრად უფრო ფართო და მდიდრულ შენობაში გადაიტანა ლომბარდ-სტრიტზე.

XIX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება აგრეთვე მსხვილი სადაზღვევო კარტელების და კორპორაციები წარმოიქმნა. ერთ-ერთ პირველი მსხვილი სადაზღვევო კარტელი წარმოიქმნა ბერლინში 1874 წ. და შედგებოდა 16 სადაზღვევო ორგანიზაციისაგან (გერმანული, ავსტრიული, შვედური).

მნიშვნელოვნად იზრდება ქონების დაზღვევა მსოფლიო ბაზარზე, ზამთარ-ზაფხულის მძიმე მეტეოროლოგიური პირობების გამო, რადგანაც ქონების დაზღვევა ამ დროს საუკეთესო გამოსავალია.

მაგალითისთვის, აშშ-ში ყოველწლიურად სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით ამერიკული სადაზღვევო კომპანიები ჯამში 15-დან 25 მილიარდამდე დოლარს იხდიან. ამერიკის ბიუჯეტისთვისაც კი ეს თანხა სოლიდურია და რომ არა სადაზღვევო ინდუსტრია, ხელისუფლება ამ ზარალის სრულად დაფარვას ვერ შეძლებდა. რთულ მდგომარეობაში რომ არ აღმოჩნდნენ, მთელ მსოფლიოში მთავრობები ცდილობენ დაზღვევის წახალისებას გარკვეული სტიმულების შექმნისა და იხულების გზითაც კი – იხულების გზა ეს არის სავალდებულო სადაზღვევო პროდუქტების შემოღება. საქართველო კი დღემდე ცივილიზებული მსოფლიოს ერთადერთ ქვეყნად რჩება, სადაც არცერთი სახის სავალდებულო დაზღვევა არ მოქმედებს.

[<http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=328&lang=geo>]

[<http://ec.europa.eu>]

სახლების, ბინების (homeowners and tenants insurance) და ქონების დაზღვევა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ტიპის დაზღვევა არ არის სავალდებულო... შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე ძირითადი შემთხვევა, როცა შესაძლებელია კომპენსაციის მიღება, ქონების დაზღვევის შემთხვევაში:

- ბუნებრივი კატასტროფებით მიყენებული ზარალი, როგორცაა: ხანძარი, ქარიშხალი, სეტყვა და სხვა.

- ქურდობა.

- ზიანი, მიყენებული სხვა ხალხის ქონებისთვის, დაუდევრობით მიყენებული ზიანი.

შვეიცარიის სადაზღვევო კომპანიების სპეციალისტ - პრაქტიკოსებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ქონების დაზღვევით, შექმნილი აქვთ სპეციალური კითხვარ განცხადებები, რომლებიც მთავარი დოკუმენტია სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ სადაზღვევო კომპანია პასუხისმგებელია კლიენტის ქონების დაზღვევაზე. **შვეიცარული სადაზღვევო კომპანია „ბერნერის“** მომხმარებლები, საოჯახო ქონების ხელშეკრულების დადების დროს, სარგებლობენ სპეციალური სატარიფო ბადით, რომელიც შემუშავებულია კომპანიის სპეციალისტების მიერ. ფასეულობათა დაზღვევის ობიექტია: სამკაული, ბენვეული, სურათები, მუსიკალური ინსტრუმენტები. სადაზღვევო თანხის განსაზღვრისათვის ყველა ნივთის დაზღვევისათვის საჭიროა სავაჭრო ქვითარი ან წერილობითი დასტური გამყიდველის მიერ ნივთების ღირებულების შესახებ. შვეიცარიის გარდა, სადაზღვევო საქმეში უდიდესი გამოცდილება აქვს ისეთ ქვეყნებს როგორცაა: **იაპონია, იტალია, შოლანდია და ა.შ.** შვეიცარიის მაგალითი ცხადყოფს, რომ დაზღვევა საზღვარგარეთის ქვეყნებში წარმოადგენს ფინანსური სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი ეროვნული 36 ეკონომიკის წამყვანი სექტორია, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი ეროვნული პროდუქტის 8 – 12 % -ის გადანაწილებას. დაზღვევა

აკუმულირებული სახსრების მნიშვნელოვანი საინვესტიციო წყაროა. მისგანკარგულებაში არსებული სახსრები ორიენტირებულია სახელმწიფოს შიდა ვალის მომსახურებაზე. [ჯ.შათირიშვილი, ნ. კაკაშვილი, 2008:186]

გერმანიაში მოსალოდნელი ტერაქტების საფრთხის გამო, დაზღვევის მსურველთა რაოდენობამ ფირმა „Exstremus“ - ში საგრძობლად მოიმატა. ტერაქტებისგან თავის დასაზღვევად, ამ კომპანიაში 7 ათასი ობიექტი და 1300 კლიენტი უკვე დაზღვეული. მათ შორის ორი ავტოკონცერნი, კომპანიების უძრავი ქონება, ბანკები, საწარმოები და თითქმის ყველა გერმანული აეროპორტი. თავისი არსებობით კომპანია უნდა უმაღლოდეს მსხვილ ნაციონალურ და უცხოურ მზღვევლებს, რომლებმაც ნიუ-იორკის ტერაქტების მერე, თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებების „არასრულყოფილება“ აღმოაჩინეს. დაზღვევა ტერაქტებისგან ნიუ-იორკში მომხდარ ტერაქტებამდე კი შედიოდა ავტომატურად ავიაკომპანიების და საწარმოების სადაზღვევო პოლისებში, მაგრამ მისი ღირებულებას ჯეროვნად არავინ აფასებდა. Münchener Rück-ის მონაცემებით, 11 სექტემბრის ტერაქტი 35 მილიონი დოლარად შეფასდა. გერმანიაში მიზნობრივი დაზღვევა ტერაქტის შემთხვევაში კომპანია Extremus-მა 2002 წელს დაიწყო. ამ საქმეში დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი პიონერები იყვნენ. 90-იან წლებში ლონდონში რამდენიმე ტერორისტული აქტი მოხდა. მაშინ სადაზღვევო სისტემაში გადანწყვიტეს, რომ არ შეეძლოთ არსებული ზარალის დაფარვა და აუცილებელი იყო ალტერნატიული გადანწყვეტილებების მიღება. რაც იმაში მდგომარეობდა, რომ დაზღვევის ფორმაში სახელმწიფოც უნდა ჩართულიყო, რადგან როგორც წესი, ტერაქტები მიმართულია არა რომელიმე კომპანიის და ადამიანის, არამედ სახელმწიფოს მიმართ.

დღეს გერმანიაშიც არის გარკვეული სახელმწიფო გარანტიები. მაგალითად, ფაბრიკაზე ან აეროპორტზე თავდასხმის დროს გარკვეული თანხა მიენოდება კომპანია Extremus-ს, რომელიც თავის მხრივ ამ ფულს ანაწილებს. კომპანია ვალდებულია პირველ ჯერზე თავისი სალაროდან ორი მილიარდი ევრო

გამოჰყოს. შემდეგ ითვლება ერთი წლის განმავლობაში რამდენი იყო ზარალი და თუ თანხა აღემატება ორ მილიარდს, საშველად მოდის სახელმწიფო გარანტიები 8 მილიარდი ევროს ოდენობით. ომის შედეგად მიყენებულ ზარალს, ასევე ქიმიურ და ბიოლოგიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ზარალებს არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ ფარავს. საქმე იმაშია, რომ არც ერთ ექსპერტს არ შეუძლია რეალურად შეათვასოს ეს პრობლემები და მოსალოდნელი რისკები.

[<http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=100&lang=geo>]

დაზღვევის ჩასახვის საწყის ეტაპზე მზღვეველად ხდებოდა გარკვეული სჯულის საქმოსნები, რომლებიც თავის თავზე იღებდნენ პასუხიმგებლობას აენაზრაურებინათ ზარალი, სანაცვლოდ იპოთეკის სახით თავის ქონებას დებდნენ. მე-17 საუკუნის ბოლოს და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა პირველი სადაზღვევო საზოგადოებები-ფირმები, რომლებიც სპეციალიზირდებოდნენ სადაზღვევო ხასიათის მომსახურების განვით. საზღვაო დაზღვევის ხაზით ცნობილია პირველი ასეთი ფირმები **საფრანგეთში** 1686წ. პარიზში და 1741 წ. **იტალიაში** ქ. გენუაში.

რაც შეეხება დაზღვევას, რომელიც გამოწვეული იყო ხანძრით მიყენებული ზარალით, პირველად წარმოიშვა **ინგლისში**, ხანძრისგან რისკების დაზღვევის გარემოება დაკავშირებული იყო 1666 წლის ლონდონის ტრაგიკულ მოვლენებთან, როდესაც ხანძრის შედეგად დაიწვა 13 200 შენობა, რომელიც განთავსებული იყო 436 აკრ ტერტორიაზე. 1680 წელს ინგლისში პირველად მსოფლიოში იქმნებოდა ხანძრისაგან დაზღვევის კომპანია, რის შემდეგ სადაზღვევო ბიზნესი გახდა პოპულარული და მომგებიანი.

დასკვნები და წინადადებები.

სადაზღვევო ბიზნესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პროდუქტად ქონების დაზღვევა გვევლინება. საქართველოში ქონების დაზღვევა დაყოფილია სხვადასხვა ვიწრო ქვესახეობებად, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა), სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა), მცურავი სატრანსპორტო ტვირთების დაზღვევა, კომერციული ქონების დაზღვევა (გარდა სატრანსპორტო საშუალებათა) და პირადი ქონების დაზღვევა (გარდა სატრანსპორტო საშუალებათა). ქონების დაზღვევა საქართველოში საშუალო დონის მოთხოვნით სარგებლობდა წლების განმავლობაში. დაზღვევის ეს სახეობა, უკვე მრავალი წელია სტაბილურად ინარჩუნებს ბაზრის ერთ-ერთი პოპულარული სახეობის სტატუსს, მიუხედავად იმისა რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობასთან კონკურენციაში ამ სახეობის პოპულარობა თვალშისაცემად დაბალია, ის სადაზღვევო ბაზრის ერთერთი ყველაზე მეტად მოთხოვადი პროდუქტია, მაგრამ ქონების დაზღვევის სახეობა ეროვნული ბაზრისათვის მაინც რჩება შედარებით „ძვირ სიამოვნებად“, რომელიც მეტად

სტაბილურ ეკონომიკას და უფრო მაღალშემოსავლიან მომხმარებელს საჭიროებს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ქონების დაზღვევის სახეობა მაქსიმალურად ინარჩუნებს გაყიდვადობას. მისი პოპულარიზაციისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობად შესაძლოა ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება მოვიხაზროთ. რეკომენდაცია: შესაძლებელია განხორციელდეს სავალდებულო სახის დაზღვევა, რომელიც გაითვალისწინებს, დაზღვევას გარკვეულ სტიქიურ უბედურებაზე. მიუხედავად ნაკლებრისკიანი გეოგრაფიული მდებარეობისა, თუ დაბალსიბშირიანი რისკების არსებობისა, უახლოესმა წარსულმა ნათლად დაგვანახა სტიქიური უბედურების ძალა. შესაბამისად პრევენციის მიზნით შეიძლება განხორციელდეს მინიმალური სავალდებულო შენატანის დადგენა საერთო სადაზღვევო ფონდში, რომლის ძირითადი მიზანიც სტიქიური უბედურების შედეგად წარმოქმნილი ქონებრივი დანაკარგების ნაწილობრივი ანაზღაურება იქნება. საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის ქონების დაზღვევის ნებაყოფლობითი ხასიათი, რის გამოც ბაზრის წილი მინიმალურია.

მთელ მსოფლიოში სტიქიისგან მატერიალური დაცვის ერთადერთი მექანიზმი დაზღვევაა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაზღვევის კულტურა საკმაოდ დაბალ დონეზეა და მოსახლეობის მიერ დაზღვეული უძრავი თუ მოძრავი ქონების მოცულობა მიზერულია, 13 ივნისის სტიქიური უბედურების გამო, სადაზღვევო კომპანიებს მაინც მილიონობით ლარის ზარალის ანაზღაურება უწევთ.

თბილისის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სახელმწიფომ დაზღვევის წახალისებაზე აქტიურად უნდა იზრუნოს, რათა მსგავსი შემთხვევების დროს, არ დაისვას შეკითხვა, თუ ვინ უნდა აანაზღაუროს ზარალი. ეს თავიდან აგვაცილებს ვითარებას, როდესაც ხელისუფლება იძულებული ხდება და ბიუჯეტიდან უამრავ თანხას ხარჯავს მოსახლეობის

ზარალის ასანაზღაურებლად და იმავდროულად ბიზნეს-სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის იმედი აქვს. ამ შემთხვევაშიც კი დაზარალებულები მაინც უკმაყოფილონი რჩებიან, რადგან ვერცერთი ხელისუფლება სრულად ვერ აანაზღაურებს სტიქიისგან მიყენებულ ზარალს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ეს მიმართულება, სავარაუდოდ, პოლიტიკური მოსაზრებებით, შეჩერებულია. ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდება, რამდენადაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ამას გვავალდებულებს. აქ მენტალობის პრობლემაცაა – ყველამ იცის, რომ ევროპაში მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაუზღვეველი სატანსპორტო საშუალებით არათუ ვერ იმოძრაებ, მას ვერც კი იყოლიებ. ამ ხარჯს ყველა ევროპელი სრული შეგნებით ხვდება და ესმის, რომ ამ თანხით თავს (თვეში დაახლოებით 100-150 ევრო) საკუთარი ქმედებით სხვისი შესაძლო დაზარალებისგან იცავს (ფინანსური თვალსაზრისით).

ყოველივე ამის და 13 ივნისის სტიქიის გათვალისწინებით, ხელისუფლება მეტად უნდა დაფიქრდეს დაზღვევის კულტურისა და სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობაზე. თბილისში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ქვეყანაში ბუნებრივი კატაკლიზმებისთვის მზაობა დაბალ დონეზეა. ეს ეხება არა მხოლოდ ტრაგიკული შედეგების პრევენციას, არამედ მატერიალური ზარალის ანაზღაურების მექანიზმებსაც. საქართველო რჩება ქვეყნად, სადაც, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულები ბიზნესმენების კეთილშობილებისა და ბიუჯეტის შესაძლებლობების იმედზე არიან. ისინი მადლობელნი არიან იმაზეც, რასაც მათთვის ბიზნესმენები და ხელისუფლება გაიმეტებენ. თუმცა ეს, როგორც წესი, მათ დანაკარგზე ნაკლებია. ცივილიზებულ სამყაროში კი სტიქიით დაზარალებულები სრულად იღებენ დაკარგული ქონების კომპენსაციას და უარის თქმა არ უწევთ ცხოვრების იმ პირობებზე, რომელშიც სტიქიამდე ცხოვრობდნენ.

ამის გარანტიას მათ სადაზღვევო სისტემა აძლევს. საქართველოში კი, შეჭირვებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, უძრავი ქონებისა და ავტომობილების დაზღვევა ჯერ კიდევ ფუფუნებად ითვლება. თუმცა თბილისის სტიქიამ მკაფიოდ დაგვანახა, რომ არსებულ სოციალურ ვითარებაშიც კი დაზღვევა იმაზე პრიორიტეტული ხარჯია, ვიდრე აქამდე მიიჩნეოდა.

ამ წუთისთვის არსებული სტატისტიკით, თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად სადაზღვევო კომპანიებში, ამ დროისათვის ჯამში 160-მდე ავტო-სატრანსპორტო, კერძო და იურიდიული პირის ქონების ზარალი აღინიშნება. აღდავის ინფორმაციით ზარალის ჯამურმა ოდენობამ მილიონ ნახევარი ლარი შეადგინა. აღდაგმა გაამარტივა ზარალის დარეგულირების პროცედურები, რაც დაზღვეულებს ეხმარებათ, დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, უმოკლეს დროში მიიღონ კუთვნილი ანაზღაურება.

“ირაოს” მოუწევს ზარალის ანაზღაურება ქონების დაზღვევის მიმართულებითაც. საუბარია მალაზიის 200 000 ლარად შეფასებულ მარაგებზე.

სადაზღვევო კომპანია “აის ჯგუფის” ინფორმაციით, ჯამში სადაზღვევო თანხა დაახლოებით 300 000 დოლარი იქნება.

“არდის” შემთხვევაში საუბარია 150 ათასი ლარის ზარალის ანაზღაურებაზე.

ზოგადი სტატისტიკა აჩვენებს, რომ ფიზიკური პირების მიერ უძრავი ქონების დაზღვევის უმეტესობა ბანკის მოთხოვნის შედეგია, იპოთეკური სესხის გაცემისას. მაგალითები, როდესაც ადამიანი საცხოვრებელს საკუთარი ინიციატივით აზღვევს, იშვიათია. არადა, დაზღვევის ეს სახეობა ყველა სხვა სადაზღვევო სერვისთან შედარებით ყველაზე იაფი ღირს და წლიურად საცხოვრებლის ღირებულების 0,2–დან 0,25 %-მდე თანხას შეადგენს.

მაგალითისთვის, თუ პირი ფლობს 100 ათას ლარად შეფასებულ საცხოვრებელს, მას წელიწადში მხოლოდ 200 ლარის გადახდა უწევს. ისეთი შემთხვევების შემდეგ კი, როგორც მაგალითად, თბილისში მოხდა, მას


მთლიანად უნაზღაურებენ როგორც უძრავი ქონების, ისე მისი შიგთავსის (ავეჯი, ტექნიკა და ა.შ.) ღირებულებას, თუ, ცხადია, ეს უკანასკნელიც დაზღვეული ჰქონდა.

ამ რისკებიდან ნათლად ჩანს, რომ უძრავი ქონების დაზღვევის ფინანსური შესაძლებლობა გაცილებით მეტ ადამიანს აქვს, ვიდრე რეალურად სარგებლობს ამ სერვისით. ანუ თვეში დაახლოებით 17 ლარი ის ხარჯია, რომელიც, 13 ივნისის მსგავსი სტიქიური მოვლენის შემთხვევაში, პირს სრულად იცავს საცხოვრებლის გარეშე დარჩენისგან. ამასთან, ზარალის ანაზღაურება სრულად ხდება და ადამიანს გაუარესებულ პირობებში ცხოვრება არ უწევს განსხვავებით იმ შემთხვევისგან, როდესაც ბიზნესმენებისა და სახელმწიფოს კეთილი ნების იმედზეა რჩება და იძულებულია, გაცილებით ნაკლებ პირობებს დასჯერდეს, ვიდრე მანამდე ცხოვრობდა, თანაც ამ ყველაფერს დახმარების ფორმა აქვს და არა კუთვნილი თანხის მიღების, რაც დაზღვევის შემთხვევაში ხდება და ამ მხრივაც კომფორტს უქმნის დაზარალებულს.


“დაზღვევის კულტურის ამაღლების მხრივ, 13 ივნისის სტიქია სამწუხარო და დამაფიქრებელი გაკვეთილია ჩვენთვის. დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის დიდი ნაწილი არასდროს დაფიქრებულა უძრავი ქონების დაზღვევაზე და თუკი მაინც უფიქრია, ჰგონია, რომ ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. თუმცა რეალურად საუბარია თვეში 15–16 ლარის ხარჯზე (დაახლოებით 100 000 ლარიანი ბინის შემთხვევაში). სამაგიეროდ, როდესაც ასეთი უბედური შემთხვევა მოხდება, ადამიანები ბიზნესმენებსა და ხელისუფლებაზე დამოკიდებულნი არ იქნებიან და ზარალის შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ. მესმის, რომ სოციალური ფონი რთულია და ბევრი ადამიანისთვის ეს ხარჯიც მნიშვნელოვანია, თუმცა, როგორც მინიმუმ, მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, რათა თავად გადაწყვიტონ, უღირთ თუ არა ამ თანხად უძრავი ქონების დაზღვევა. ამ მხრივ 13 ივნისის შემთხვევა შესაძლოა, ბევრისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს,” – აცხადებს გიგოლაშვილი.

[<http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=328&lang=geo>]

ისეთ ქვეყნებში, სადაც დაზღვევის კულტურა დაბალია, მაგალითად პოსტ საბჭოთა ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც სხვა სისტემა იყო, ერთი ცენტრალური ორგანიზაცია იყო და რომელიც თავისი წესებით ჭრიდა და კერავდა ყველაფერს, ასეთ ქვეყნებში უფრო გამართლებულია დაზღვევის სავალდებულო სახით არსებობა. რაც მთავარია სახელმწიფომ კარგად უნდა დათვალოს ობიექტურად რა ეღირება ეს დაზღვევა და ამას, რა თქმა უნდა, ადმინისტრირების ხარჯებიც უნდა დაუმატოს და გონივრული მოგება განმახორციელებელი სადაზღვევო კომპანიებისთვის, რადგან სადაზღვევო კომპანიები რასაც გააკეთებენ იმის სათანადო ანაზღაურება მიიღონ და მოქალაქეები თუ ორგანიზაციები ზედმეტს არ იხდიდნენ. ამის გამოყვანა მათემატიკის და სტატისტიკის გამოყენებით შესაძლებელია. თუ რაღაც პროდუქტი ღირს X, მე არ უნდა გადავიხადო ამაში 3-ჯერ მეტი თანხა. ეს უნდა იყოს გათვალისწინებული და დახვეწილი, დალაგებული პროგრამა უნდა არსებობდეს.



ნახაზი 3.



ნახაზი 4.

ბიბლიოგრაფია

ბუკია ს. , საქართველოში სოციალური დაზღვევის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებები. უ. სოციალური ეკონომიკა. №4. 2006.

გრიგოლაშვილი გ. , სტიქიამ ცხადყო , რომ დაზღვევის კულტურა ქვეყანაში ასამაღლებელია. ბანკები და ფინანსები. 22.06.2015

გელიტაშვილი ნ. , სოციალური დაცვის ევროპული სისტემა და საქართველო. უ. სოციალური ეკონომიკა. №6. 2006.

დუმუაშვილი თ., სტატია: სადაზღვევო ბაზარი საქართველოში, 19.04.2016წ.
[/http://forbes.ge/blog/177/](http://forbes.ge/blog/177/)

ვერულავა თ., დაზღვევის ისტორია, თბილისი 2013წ.

ლოლაშვილი მ., სტატია: დაზღვევის სფეროს სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახური გააკონტროლებს. 05.09.2013, გვ. 11-32-59 . /
<http://for.ge/> /

მალაკელიძე-ხომერიკი მ. , მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა
საქართველოში. უ. სოციალური ეკონომიკა. №3. 2004.

ოდიშარია ნ., რეფორმა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში. უ. სოციალური
ეკონომიკა. №5. 2003.

შათრაშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. , სადაზღვევო საქმე , თბილისი 2012წ

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library>.

<http://insurance.gov.ge/About-Us.aspx>

<http://insurance.gov.ge/Useful-Information.aspx>

<http://insurance.gov.ge/Statistics.aspx>

<https://infoman.ge>

<http://www.nbg.gov.ge>

<http://ec.europa.eu>

<https://financer.com/ge/dazgveva/saxlis-dazgveva/>

<http://dazghveva.ge/konebis-dazghveva/>

https://www.lari.ge/15-dazghvevis-alqimia/143-savaldebulo-da-nebakoflobiti-dazghvevis-principebi.html?page=menu&l_menu=15&l_menu_title=dazghvevis-alqimia&obj_id=143&object_title=savaldebulo-da-nebakoflobiti-dazghvevis-principebi#send_to_friend

<http://tinsurancegeo-marketing.s3.amazonaws.com/PRO%20005-18.pdf>